პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 187 (18729) კვირა, 14 აგვისტო 1983 წელი ფასი 3 კაპ.

127 ათასი მანეთის მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვა შავდი თვის გეგმის გადაჭარბებით თბილისის ელექტროშესადუღებელმა დანადგართა ქარხნის კოლექტივმა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც.

სურათზე: თქვენ ხედავთ ამ საწარმოს მექანიკური ქარხნის ხარატს გურამ წულაიას, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გამწვალ შეჯიბრებაში პირველობს. იგი 20 პროცენტით აჭარბებს დღიურ ნორმებს.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

პირველადს, რაიონულ, საქალაქო, საოკრუგო და სამხარეო პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების მოწყობის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების შესაბამისად 1983 წლის დამლევს — 1984 წლის დამდეგს პირველადს პარტორგანიზაციებში, პარტიის რაიონულ, საქალაქო, საოკრუგო, საოლქო და სამხარეო ორგანიზაციებში გაიმართება საანგარიშო-საარჩევნო კრებები და კონფერენციები. ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის წარმატებით მოწყობას უნდა უზრუნველყოს პარტიული რიგების შემდგომი განმტკიცება, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარება, პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, საბჭოთა ხალხოსანდოების ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ამაღლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. მიღებულ იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების წინადადებანი, რომ ანგარიშგება-არჩევნები მოეწყოს პირველადს პარტორგანიზაციებში — 1983 წლის სექტემბერ-ნოემბერში, რაიონულ, საქალაქო, საოკრუგო ორგანიზაციებში — 1983 წლის ნოემბერ-დეკემბერში. საოლქო და სამხარეო ორგანიზაციებში — 1983 წლის დეკემბერში — 1984 წლის იანვარში. კრებებისა და კონფერენციის დაწყებამდე პირველადს ორგანიზაციებში მოეწყოს ანგარიშგება-არჩევნები პარტჯგუფებსა და საამქრო პარტორგანიზაციებში.

2. კრებებისა და კონფერენციების ყურადღების ცენტრში უნდა დაისვას პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სასურსათო და ენერგეტიკული პროგრამებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის, ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის პარტორგანიზაციების, მათი ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის საკითხები.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის პროცესში ღრმად და თვითკრიტიკულად უნდა გავაანალიზოთ მრეწველობაში, კაპიტალურ მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, სხვა დარგებში, თითოეულ შრომითს კოლექტივში, რაიონში, ქალაქში, ოლქში, მხარეში, ავტონომიურ რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის შედეგები, ზუსტად განვსაზღვროთ სამერმისო ამოცანები, რათა მყარი ხასიათი მივანიჭოთ ძირითად ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაუმჯობესების დასახულ ტენდენციას. განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ იმ უბნებს, სადაც ვერ სრულდება ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, შევიმუშაოთ წარმოქმნილი დავალიანების ანაზღაურების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებანი.

მთავარია პრაქტიკულად გავერკვეთ იმაში, თუ როგორ ხორციელდება პარტიის მითითებანი წარმოებაში ჯეროვანი წესრიგის დამყარების შესახებ, შრომის ნაყოფიერების კარდინალური ამაღლების, ხელფასთან შედარებით მისი უპირატესი ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების, ხელშეკრულებებისა და შეკვეთების შესაბამისად მიწოდების გეგმის შესრულების შესახებ. მეტი ზრუნვა გამოვიჩინოთ მეცნიერების, ტექნიკის მიღწევათა დანერგვისათვის, მატერიალური და შრომითი რესურსების დაზოგვისა და სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის ამაღლებისათვის. ყურადღება მივაპყროთ წარმოების, გეგმების შესრულებას, სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. გამოვავლინოთ ნაკლოვანებათა მიზეზები, გამოვარკვიოთ, ვისი მიზეზით არის ისინი გამოწვეული, მოვთხოვოთ კონკრეტულ პირებს გამოასწორონ საქმის ვითარება..

3. კრებებსა და კონფერენციებზე საგულდაგულოდ განიხილოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპის დაჩქარების, მისი ინტენსიფიკაციის, ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის საკითხები. მთავარი ყურადღება დავუთმოთ მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების, კოლექტიური სამეურნეოანგარიშიანი კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, ყველა სოციალური საკითხების გადაწყვეტას, მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქციის წარმოების და შესყიდვის გეგმების მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელთა მთელი მეცადინეობა უნდა მოვახმაროთ მომავალ წელს საინდოო მუშაობისათვის პირობების შექმნას.

ანგარიშგება-არჩევნების დროს მომთხოვნელად მივუდგეთ ადგილობრივი ორგანოების მუშაობას ორგანიზაციათა და დაწესებულებათა, სოფლის მეურნეობის საწარმოთა, აგრეთვე პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულებისათვის.

განვაზოგადოთ მართვის ახალი ორგანოებისადმი — აგროსამრეწველო გაერთიანებებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკა, განვიხილოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი. კადრებთან და სპეციალისტებთან მუშაობის მდგომარეობა, მივაღწიოთ მათს ჯეროვან სტაბილურობას და მაღალ პასუხისმგებლობას მუშაობის დავალებული უბნისათვის.

4. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად ყოველმხრივ უნდა განვიხილოთ იდეოლოგიური, აღმზრდელობითი პროპაგანდისტული მუშაობის მდგომარეობა, რათა ავიაცილოთ იგი იმ ამოცანათა დონეზე, რომელთაც პარტია წყვეტს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში. ეს მუშაობა მივიჩნიოთ მთელი პარტიის, თითოეული კომუნისტის საქმედ ორგანიზაციულ-პარტიულ და სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობასთან ორგანული კავშირით. ყურადღება მივაპყროთ იმას, რომ ხელმძღვანელები ეუცილებლად უნდა გამოდიოდნენ მშრომელთა წინაშე, უზრუნველყონ სტატისტიკა და საქმის ერთიანობა იმის გათვალისწინებით, რომ პარტიის მოთხოვნა — თავს არ ვარიდებდეთ მწვავე საკითხებს, — ნიშნავს არა მარტო მათს განმარტებას, არამედ მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, წინადადებათა რეალიზაციისათვის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებასაც.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ხაზი უნდა მისცეს პოლიტიკური განათლების გაუმჯობესებას, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა ეფექტიანობის ამაღლებას, ხელს უწყობდეს ყველა იდეოლოგიური უხნის კარგად მომზადებული, იდეურად მომწიფებული კადრებით განმტკიცებას.

კრებებმა და კონფერენციებმა სერიოზული გავლენა უნდა მოახდინონ საბჭოთა ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის დაყენებაზე, ხელი შეუწყონ პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლებას, პარტიის ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსის პროპაგანდის გაძლიერებას, გააქტიურონ ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზეგავლენის, ჩვენს ცხოვრებაში უცხო შეხედულებებისა და ზნე-ჩვეულებების შემოპარების ცდების, დატაცების, მეკრთამეობის, ლოთობის ფაქტებისა და სხვა ნეგატიურ გამოვლინებათა წინააღმდეგ.

5. კრებებსა და კონფერენციებზე საფუძვლიანი განხილვის საგანი უნდა გახდეს ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საკითხები.

ყველაზე სერიოზული ყურადღება დავუთმოთ ადგილობრივი პარტიული კომიტეტების პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას, მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, ზედმეტი თათბირებისა და სხდომების, ქაღალდთმთხზველობის შემცირებას, უშუალოდ ძირიულ პარტიულ რგოლებსა და შრომითს კოლექტივებში ორგანიზატორული საქმიანობის თავმოყრას. პრინციპულ, დაინტერესებულ ამალინის საჭიროებს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის პრაქტიკა. მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების ორგანიზაცია. უფრო ბაკცრად უნდა მოვკითხოთ საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტებს პარტიული პოლიტიკის განხორციელებისათვის.

კრებებმა და კონფერენციებმა ხელი უნდა შეუწყოს პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის, მართლწესრიგის განმტკიცებას, საერთო-სახელმწიფო ინტერესების დაცვისათვის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლებას, ხელმძღვანელი ორგანოებისა და პარტიული ორგანიზაციების შემდგომ დაახლოებას ადამიანების საჭირო ენებთან, და მოთხოვნილებებთან.

6. ანგარიშგება-არჩევნების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ პირველადი პარტორგანიზაციების, როგორც შრომითი კოლექტივების წამყვანი ძალისა და პოლიტიკური ბრძოლის, ოლიტის ამაღლებას, მათი მუშაობის ყველა მხარის საფუძვლიან განხილვას. საგანგებო ყურადღება დავუთმოთ პარტიული ორგანიზაციების მიერ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების გამოყენების საკითხებს, საწარმოო საქმეებზე, ადამიანთა აღზრდასა და ყოფაცხოვრებაზე პარტიული გავლენის გაძლიერებას. შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის განხორციელებას. სამინისტროთა და უწყებათა კომუნისტები შეურიგებლად უნდა ეკიდებოდნენ კანცელარიულობასა და ბიუროკრატიზმს, გზას უღობავდნენ ადგილებზე გასაგზავნი ქაღალდების ნაკადს.

კონკრეტულად ჩაეწვდეთ მუშაობას პარტიული რიგების ფორმირებისათვის, ახალგაზრდა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური წრთობის დონის ამაღლებისათვის, პარტიული ძალების განაწილების გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით წარმოების გადაწყვეტილ რგოლებში, მეცხოვრეობის ფერმებში, ბრიგადებში, ჩამორჩენილ უბნებზე.

კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლების ამოცანათა განსაზღვრისას უფრო სრულად უნდა გავთვალისწინოთ პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების, განსაკუთრებით ხელმძღვანელების ზნეობრივი მაგალითის ძალა, მოვთხოვოთ თითოეულ მათგანს უმწიკვლო პირადი ყოფაქცევა. მკაცრად მოვთხოვოთ პასუხი იმათ, ვინც არღვევს პარტიული მორალის ნორმებსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების მოთხოვნებს.

7. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა უზრუნველყონ ანგარიშგება-არჩევნების მოწყობა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების მკაცრი დაცვის, ნამდვილი დემოკრატიზმისა და პრინციპულობის ვითარებაში. არჩევითი პარტიული ორგანოები კრებებსა და კონფერენციებზე უნდა გამოვიდნენ ღრმა, თვითკრიტიკული მოხსენებით, რომლებიც შეიცავს მთელი მუშაობის გაუმჯობესების კონსტრუქციულ წინადადებებს. თვით კრებებმა და კონფერენციებმა კი უნდა გვიჩვენონ პრაქტიკისა და წარმოქმნილი პრობლემების კოლექტიური გაგზრავნის, კომუნისტების პრინციპული ურთიერთმომთხოვნელობის, ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისათვის მკაცრი მომთხოვნელობის მგალითი.

ცენტრალური კომიტეტი ყველა პარტორგანიზაციას მიზნად უსახავს ამმოქმედელ პარტიის დიდი რეზერვი — შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარება, კომუნისტთა შემოქმედებითი აქტიურობის, ინიციატივისა და ასუსტისგებლობის ამაღლება, შეუწყნარებელია ფაქტები, როცა კრებები იმართება მომზადებული სცენარით, დაინტერესებული, გულახდილი განხილვის გარეშე, როცა მონაწილეთა გამოსვლები წინასწარ რედაქტირებულია, ინიციატივას და კრიტიკას კი ახშობენ.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში, მათ შორის ყველა პირველადს ორგანიზაციაში, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ზემდგომი პარტიული ორგანოების წარმომადგენლებმა. საჭიროდ იქნეს მიჩნეული, რომ კრებებისა და კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ სამინისტროების, უწყებების, სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა.

8. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მივუდგეთ არჩევითი პარტიული აქტივის. ფორმირებას, ხელმძღვანელ თანამდებობებზე პოლიტიკურად მომწიფებული, კომპეტენტური და ინიციატივიანი კომუნისტების დაწინაურებას, რომლებსაც ორგანიზატორული ნიარა, მაღალი ზნეობრივი თვისებები, სიახლის გრძნობა აქვთ და მჭიდროდ არიან დაკავშირებული პარტიულ მასებთან, მშრომელებთან. პარტკომებში, პარტბიუროებსა და ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებში უნდა აირჩიონ მოწიფული მუშები, კოლმეურნეები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ქალები. უფრო ფართოდ უნდა დავაწინაურთ ქალები. პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში. თანამშრომეველურად ვიღვწოდეთ იმისათვის, რომ არჩევითს პარტიულ ორგანოებში, კერძოდ, მათს ხელმძღვანელობაში, ჯეროვნად იყვნენ წარმოდგენილი ეროვნებები, რომლებიც არიან პარტიულ ორგანიზაციათა შემადგენლობაში. პარტიული ორგანოების შემადგენლობაში უნდა გვყავდეს კადრების საიმედო რეზერვი, თავიდან ავიცილოთ მუშათა კოოპტაციის პრაქტიკა.

საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ კომუნისტთა აზრი, მათი წინადადებანი და შენიშვნები გათვალისწინებულ იქნეს მიღებულ გადაწყვეტილებებში, ეცნობოს ისინი შესაბამის პარტიულ და საეურნეო ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს. ყველგან შევიმუშაოთ და განვახორციელოთ მიღებული გადაწყვეტილებების, შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის ღონისძიებანი, რეგულარულად მივაწოდოთ ინფორმაცია პარტიულ აქტივს, ყველა კომუნისტს მათი შესრულების შესახებ. მოვაწყოთ პრაქტიკული მუშაობა ახალ არჩევითს აქტივთან, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან.

9. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ ამ დადგენილების საფუძველზე მოამზადოს და მოაწყოს საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჯარის ნაწილებისა და სამხედრო დაწესებულებების პარტორგანიზაციებში, პარტიული კონფერენციები — შეწარმართებში, სამხედრო სასწავლებლებში, გიერთიანებებში, ოლქებში, ჯარების ჯგუფებსა და ფლოტებში.

10. უზრუნველყოთ კრებებისა და კონფერენციების ფართო საჯაროობა, სისტემატურად და საფუძვლიანად გავაშუქოთ მათი მუშაობა ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი.

რესპუბლიკის სამრეწველო პოტენციალის ამაღლების ინტერესებისათვის

კარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი ზესტაფონში

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში გაიმართა პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელშიც განიხილა ზესტაფონის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, საქართველოს ეკონომიკაში მისი წვლილის გადიდების უმნიშვნელოვანესი ამოცანები, მთელი რესპუბლიკის სამრეწველო პოტენციალის ზრდის აქტუალური პრობლემები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. კოლბინი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და ზესტაფონის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივი, სამინისტროებისა და უწყებების, მხხვილი სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირი გახსნა ამხანაგმა ე. ა. **შევარდნაძემ.** რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით იგი მხურვალედ მიესალმა ამხანაგ ვ. ი. დოლგიხს და მადლობა მოახსენა, რომ ესოდენ ღრმად არის დაინტერესებული საქართველოს ეკონომიკის მომავლით, მისი პოტენციალის ზრდით, ყოველმხრივ სწავლობს სამრეწველო წარმოების განვითარების პრობლემებს.

თქვენი ჩამობრძანება, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, განსაკუთრებით ნიშანდობლივია იმიტომაც, რომ ჩვენ სულ ცოტა ხნის წინათ შევაჯამეთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მეთერთმეტე ხუთწლედის ორ წელიწად-ნახევრის მუშაობის შედეგები. საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ჩვენ სქმიანი, საფუძვლიანი სჯა-ბაასი გვქონდა იმის შესახებ, თუ როგორ დავამკვიდროთ მიღწეული, დავძლიოთ ნაკლოვანებანი, ავამოქმედოთ ახალი, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები, უზრუნველყოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა უცილობელი შესრულება.

შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მიუდგის საქმეები რესპუბლიკას ხუთწლედის პირველ ნახევარში.

მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში რესპუბლიკის მრეწველობამ გამოუშვა 25,6 მილიარდი მანეთის პროდუქცია, ანუ თითქმის ნახევარი მილიონი მანეთით მეტი იმ თანხაზე, რომელიც ხუთწლედის დავალებებით იყო გათვალისწინებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესრულებულია ხუთწლიანი საწარმოო პროგრამის 46,3 პროცენტი გეგმით დასახული 45,5 პროცენტის ნაცვლად.

ამის შედეგად მრეწველობის პროდუქციის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით წლეულს 12,8 პროცენტით გადაამტებს 1980 წლის დონეს, ეს კი 0,3 პუნქტით მეტია ხუთწლედით გათვალისწინებულთან შედარებით. მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა ნავთობისა და გაზის მოპოვების, ნავთობის პირველადი გადამუშავების, სასაქონლო მანგანუმის მადნის, ერბო-კაჩის, ცხინმიანი ყველის, ხარისხოვანი ნატურალური ჩაის წარმოების ხუთწლედის ორ წელიწად-ნახევრის დავალებანი და ა. შ.

უამინდობით გამოწვეული გარკვეული სიძნელეების მიუხედავად, დადებითს შედეგებს ვაღწევთ სოფლის მეურნეობის განვითარებაში. სამი წლის შედეგების მიხედვით ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების ხუთწლიანი დავალება შესრულდება 111,5 პროცენტით, ციტრუსებისა — 118; ხორცისა — 100,4; მატყლისა — 106,9 პროცენტით და ა. შ. მთლიანად, ძირითად სახეობათა მიხედვით რესპუბლიკა თავს არამეევს დავალებებს.

სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში მიღწეული წარმატებანი განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების განმაზოგადებელი მაჩვენებლის ზრდის ტემპის მიხედვით მეთერთმეტე ხუთწლედის სამი წლის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

სამი წლის მანძილზე ეროვნული შემოსავლის ფიზიკური მოცულობა გაიზრდება 20,4 პროცენტით ხუთწლიანი გეგმით გაანგარიშებული 16,9 პროცენტის ნაცვლად; მრეწველობის პროდუქციის მოცულობა — 15,2 პროცენტით 15 პროცენტის ნაცვლად. მრეწველობის „ა“ ჯგუფის პროდუქციის წარმოების 10,2 პროცენტით, გადიდების პირობებში „ბ“ ჯგუფის პროდუქცია გაიზრდება 24,1 პროცენტით.

ეროვნული შემოსავლის ზრდის საგეგმო დავალებათა. გადაჭარბებით შესრულება შესაძლებლობას გვაძლევს უკვე 1984 წლის გეგმით გავთვალისწინოთ საქართველოს თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებები განსაზღვრული ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანის გადაჭრა — საქართველოს სს რესპუბლიკის გასვლა საშუალო საკავშირო დონეზე ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით.

ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წარმატებით დავამთავროთ მიმდინარე სამეურნეო წელი — რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავის წელი.

რესპუბლიკაში მიმდინარე ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგად გარკვეული წარმატებანი გვაქვს მოპოვებული ეკონომიკის განვითარებაში მეთერთმეტე ხუთწლედის ამ მესამე, შუაგულ წელს. სასაქონლო მრეწველობის პროდუქციის გამოშვების შვიდი თვის საგეგმო დავალება შესრულებულია 102,6 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა შეადგინა 105,5 პროცენტი საწარმოთა გეგმების მიხედვით საერთო 102,7 პროცენტისა და წლეულდელი სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებული 104,8 პროცენტის ნაცვლად.

გეგმის გადამეტებით არის გამოშვებული 146 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, ხოლო რეალიზებულია — 105 მილიონი მანეთისა. მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, რძისა და სხვა პროდუქციის დამზადების დავალებანი, ორგანიზებულად მიმდინარეობს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც სოფლის მეურნეობას მიაყენა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში მრავალჯზისმა სეტყვამ და სხვა სტიქიურმა უბედურებებმა.

შესრულებულია კაპიტალური მშენებლობის განსაზღვრული პროგრამა. დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით შვიდი თვის მანძილზე ათვისებულია 807,2 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდება, ამოქმედებული ია 453,9 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც 24 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს.

ამრიგად, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დიდი დახმარებისა და ყოველდღიური ყურადღების მეოხებით თანდათანობით ვძლევთ სიძნელეებს, რომლებიც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებაში წამოგვეჭრა გახშირებულ სტიქიურ უბედურებათა მძიმე შედეგების გამო, უზრუნველყოფთ ეკონომიკის ყველა დარგის დინამიკურ და სტაბილურ განვითარებას, წარმატებით ვწყვეტთ მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის ამაღლების ამოცანებს.

მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილი პერიოდის, კერძოდ, მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ძირითად საგეგმო დავალებათა შესრულებას დიდად შეუწყო ხელი მნიშვნელოვანმა მუშაობამ, რომელსაც ვეწევით რესპუბლიკაში, რათა განვამტკიცოთ სახელმწიფო, საგეგმო, შრომის, ტექნოლოგიური და საფინანსო დისციპლინა, გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ წარმოების ზრდის და მისი მართვის სრულყოფის შინაგანი რეზერვები, დადვიყვანოთ ეკონომიკა უპირატესი ინტენსიური განვითარების გზაზე. ამ მუშაობის შემდგომი გაძლიერება მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა და წარმატებით რეალიზაციის საწინდარია.

შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მოკლედ დაახასიათა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, სადაც თათბირი მიმდინარეობდა, ილაპარაკა საწარმოზე, რომელიც სულ მალე გადაიხდის თავის 50 წლისთავს. ეს ქარხანა მანგანუმის შენადნობებით უზრუნველყოფს ქვეყნის ფოლადის წარმოებას. უკანასკნელ ხანს აქ საგრძნობლად გაუმჯობესდა ეკონომიკის მაჩვენებლები. ხუთწლედის ორ წელიწად-ნახევრის გეგმა შესრულებულია. ძირითად მაჩვენებლების მიხედვით ზრდის მნიშვნელოვანი ტემპია მიღწეული. საგრძნობლად გაუმჯობესდა ხარისხობრივი მაჩვენებლები. „ხელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა წარმოების საერთო მოცულობაში შეადგინა 59 პროცენტი. ეს როგორც ვიცით, ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია დარგში.

ინტენსიური ტემპით მიმდინარეობს მუშაობა მინიმალური კაპიტალური დანახარჯებით ზესტაფონის ქარხნის რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლებისათვის. უკანასკნელ ხანს განახლებულია ქარხნის ძირითადი ფონდების 50 პროცენტზე მეტი.

ყოველივე ამან უზრუნველყო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუუარესებლად.

წარმატებით მიმდინარეობს ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვის სამუშაოები, რის მეოხებითაც ქარხანაში ხელშრომის წილი 22,1 პროცენტამდე შემცირდა.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქარხანაში მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა გარემოს დასაცავად. ყველა ძირითად საამქროში ამოქმედებულია აირსაწმენდი სისტემები, კერძოდ, № 4 საამქროში — ქვეყანაში უმძლავრესი აირსაწმენდი დანადგარი. ამის მეოხებით გადაწყდა დასავლეთ საქართველოს მთელ რეგიონში გარემოს დაცვის პრობლემა.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული ქარხანაში უნარჩენო წარმოებაზე გადასვლის საქმეში. ამჟამად საწარმოში წარმოშობილი ნარჩენების საერთო ოდენობის 89 პროცენტი მთლიანად უტილიზდება. წლის დამლევისათვის ქარხანა მთლიანად აითვისებს სილიკომანგანუმის ნაყარის წიდების პნევმატიკური სეპარაციის უნნის სპეციალურ სიმძლავრეს, რის შედეგადაც იგი ქვეყანაში გახდება ქვედარგის პირველი საწარმო, რომელსაც ექნება უნარჩენო ტექნოლოგიური ციკლი. გაძლიერებული სამუშაოები მიმდინარეობს, რათა წარმოების ტექნოლოგიაში მოაქციონ მწირი მაწანუმის მადნების ფეროშენადნობები და უხეცაოვანი ტყაბოლის ქვანახშირი. ეს ძალზე მწვავე პრობლემაა ჩვენი რესპუბლიკისათვის.

ქარხანის მადანს ზესტაფონი ჭიათურიდან იღებს. ჩვენ დიდი პატივისცემით ვეკიდებით საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ კოლექტივს, რომელმაც უკვე გადაიბადა მანგანუმის მოპოვების დაწყების 100 წლისთავი. ამ საწარმოს შექმნამ დიდწილადვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს მუშათა კლასის ჩამოყალიბებაში. ეს 10-ათასიანი კოლექტივი, ისეთი სიძნელეებს მიუხედავად, როგორიც არის ხელახალი დამუშავებისის მადნის მოპოვების მოცულობის ზრდა, სამთომრეწველი მექანიზმებით არასრული ეროვნულეყოფა და ა. შ. — სტაბილურად ასრულებს საგეგმო დავალებებს, თამამად ნერგავს ტექნიკურ სიახლეებს მიდნის მოპოვება-გამდიდრებაში, წარმატებით წყვეტს გარემოს დაცვის პრობლემებს.

სიძნელეებმა დააახლოვეს და დამეგობრეს ორი კოლექტივი — ჭიათურელი მაღაროელები და ზესტაფონელი ფეროშენადნობელები, რომლებიც ერთობლივი ძალებით წყვეტენ დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო, სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანებს და იღებენ წარმოების რიტმულობის მოგვარებას, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

„ჭიათურმანგანუმის“ გაერთიანება წარმატებით ართმევს თავს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებებს.

ცენტრალური - მამდიდრებელი ფაბრიკის რეკონსტრუქცია, რომლის სიმძლავრე 1985 წელს 300 ათას ტონა მანგანუმის კონცენტრატს მიაღწევს, შესაძლებლობას მოგვცემს გავზარდოთ მწირი კარბონატული მადნების გამდიდრების მოცულობა, ავამაღლოთ მექანიზაციის დონე და გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება 18-20 პროცენტით, შევამციროთ მანგანუმის დანაკარგები 0,7 პროცენტით.

მანგანუმის მადანზე ქვეყნის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით გათვალისწინებულია ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხუთწლედის დამლევამდე უზრუნველყოფს მანგანუმის კონცენტრატების წარმოების გადიდებას 570 ათასი ტონით ხუთწლიანი გეგმით დაწესებულ დავალებათა გადამეტებით. ამასთან დაკავშირებით გაერთიანების წინაშე დგას ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა გადაჭრაზეც დიდად არის დამოკიდებული პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა შესრულება.

დაბშული მეტალურგიული ციკლის უდიდესი საწარმოა რესპუბლიკაში რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. მან დასაბამი მისცა ქართველ მეტალურგთა, ქიმიკოსთა და მშენებელთა ქალაქს, და ახლა ეს ქარხანა დიდად განსაზღვრავს რესპუბლიკის ინდუსტრიულ იერს, საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის სახეს. ქარხანა იყო ერთი იმ პირველ საწარმოთაგანი, რომელთა კოლექტივებმაც აქტიური ბრძოლა გააჩაღეს დისციპლინის განმტკიცებისათვის, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

დღეს სინანულით გვიხდება ი

რესპუბლიკის სამრეწველო პოტენციალის ამაღლების ინტერესებისათვის

(დასასრული)

ვეზებს, გადასაჭრელ პრობლემებს ამისათვის, რომ მკაფიოდ წარმოვიდგინოთ პერსპექტივა, საჭიროა გავაძლიერთ სამეთოდოლოგიურ-ბელი და სამთოკაპიტალური სამუშაოების ტემპი, განვახორციელოთ ფართო მასშტაბის ღონისძიებები შრომატევადი და ხელის სამუშაოების, მეტადრე მძიმე შრომის მექანიზაციისათვის, ყოველნაირად განვამტკიცოთ სოციალისტური დისციპლინა.

ილაპარაკა რა მადნეულის სამთომამდიდრებელ კომბინატზე, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ იყო ამხანაგი ვ. ი. დოლგიხი, ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საპროექტო ნაკლოვანებების, სამშენებლო ხარვეზების, ნედლეულის ბაზის მოუმზადებლობის, სამთო-სატრანსპორტო ტექნიკის უქონლობის, აგრეთვე წამყვან პროფესიათა მუშებითა და ინჟენერ-ტექნიკური მუშაკებით დაუკომპლექტებლობის გამო ეს საწარმო უაღრესად არარიტმულად მუშაობდა.

ამხანაგ ვ. ი. დოლგიხის დავალებით მადნეულის სამთომამდიდრებელი კომბინატის საწარმოო-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობა განიხილეს სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტროს, რესპუბლიკურმა პარტიულმა და სახელმწიფო ორგანოებმა. მიღებულ იქნა სსსრრასფო ღონისძიებანი, რათა დამთავრებულიყო სამშენებლო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, მთლიანად დაკომპლექტებულიყო კომბინატი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით, წამყვან პროფესიათა მუშებით. ამის შედეგად კომბინატში გაუმჯობესდა საწარმოო საქმიანობა, აქ წარმატებით ათვისებენ თავს მადანთა გადამუშავების, მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმების შესრულებას.

დამტკიცებულია კომბინატის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ორმხრივი ღონისძიებანი. ისინი ითვალისწინებენ, რომ ამაღლდეს წარმოების ტექნიკური დონე, უზრუნველყოფილ იქნეს კომბინატის სოციალური განვითარება, გაიზარდოს პროდუქციის გამოშვება და რეალიზაცია.

გათვალისწინებულია წარმოების ტექნიკური განახლება სამდიდრებელი მოწყობილობის, ტექნოლოგიური ტრანსპორტის სიმძლავრის გადიდების, სამთო მოწყობილობისა და საგზაო მანქანების პარკის განახლების გზით. ყოველივე ეს შესაძლებლობას მოგვცემს რამდენადმე გავზარდოთ მთლიანი პროდუქციის გამოშვება.

„საქქვანახშირის“ საწარმოო გაერთიანება ეწევა სამი საბადოს: ტყიბულის, ტყვარჩელისა და ახალციხის საბადოების ექსპლოატაციას. ძირითად პროდუქციას წარმოადგენს რუსთავის მეტალურგიული ქარხნისათვის განკოვნილი კოქსკონცენტრატი და სამრეწველო პროდუქტი ენერგეტიკული საჭიროებებისათვის. რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. მოპოვების დონემ 1958 წელთან შედარებით აშკარად დაიკლო. აქ არის ობიექტური მიზეზები: გამოგვაკლდა ტყვარჩელის საბადოს სიმძლავრენი, დაკონსერვდა ახალციხის შახტები, დროულად არ ხდება გამოკლებულ სიმძლავრეთა შევსება და უარესდება შახტების ექსპლოატაციის სამთო-ტექნიკური პირობები. ამასთანავე გაერთიანებაში სრულად არ გამოიყენება საწარმოო სიმძლავრენი, კლებულობს წარმოების ტემპი, დამაკმაყოფილებლად არ მუშაობს ბევრი შახტი. ამის შედეგად მოპოვების საგეგმო დავალებები მიმდინარე წლის 7 თვის მანძილზე არადამაკმაყოფილებლად შესრულდა. არ განაღდებულა არც ხუთწლედის ორ წელიწადნახევრის დავალებები.

რესპუბლიკას ყველა შესაძლებლობა აქვს, რათა შემდგომ განავითაროს ქვანახშირის მოპოვება იმ გზით, რომ აშენის ახალი შახტი ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადოს ბაზაზე. ჩვენ ეს საკითხი დავაყენეთ საკავშირო ორგანოების წინაშე, მაგრამ ჯერჯერობით იგი დადებითად არ გადაუწყვეტიათ.

რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობის განვითარება პრაქტიკულად 1974 წლიდან დაიწყო. ნავთობის მოპოვება მნიშვნელოვნად გაიზარდა. წარმატებით შესრულდა ხუთწლედის ორ წელიწად-ნახევრის დავალებები, ასევე სრულდება წლევანდელი საგეგმო დავალებანი. მაგრამ ნავთობის მარაგის მატების გეგმა კი ვერ სრულდება. ამკამად რესპუბლიკის მენავთობეთა ძირითადი ამოცანაა განახორციელონ ყველა დასახული ღონისძიება, რათა გაძლიერდეს გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოები ნავთობის მარაგის მატებისა და მოპოვების გადიდების მიზნით.

რესპუბლიკაში ბუნებრივი გაზის მოწოდება 1978 წლის ბოლოდან ხორციელდება ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენით. მთლიანად მოსახლეობის ბინების გაზიფიკაციის პროცენტი შეადგენს 96,4 პროცენტს; — ეს ერთერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ქვეყანაში. მაგრამ ბუნებრივი გაზის მიხედვით იგი უაღრესად დაბალია და სულ 30 პროცენტს აღწევს. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე შემოდგომა-ზამთრის პერიოდში რესპუბლიკა არასტაბილურად მარაგდება ბუნებრივი გაზით. ხშირად წესდება შეზღუდვები, რაც დიდ სიძნელეებს გვიქმნის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის გაზით უზრუნველყოფაში.

1984 წლიდან დასახულია აშენდეს ქუთაის-სოხუმის მაგისტრალური გაზსადენი ქალაქების ბათუმისა და ფოთის განშტოებებით, რაც შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველვყოთ ბუნებრივი გაზის მიწოდება დასავლეთ საქართველოს რაიონებისათვის. ამავე დროს უაღრესად საჭიროა დროზე დამთავრდეს ნოვოფსკოვ-აქსაი-მოზდოკის გაზსადენთა სისტემის რეკონსტრუქცია, აგრეთვე შესრულდეს საქართველოს გაზმომარაგების საიმედოობის გაუმჯობესების ღონისძიებანი, რომლებიც სსრ კავშირის გაზის მრეწველობის საინფორმაციოსთან ერთად შეგიმუშავეთ.

დღეს უაღრესად დაძაბულად ხორციელდება სახალხო მეურნეობის ელექტრომომარაგება. აქ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი. რესპუბლიკაში ენერგეტიკის განვითარება უკანასკნელ ათწლეულში მიმდინარეობს ძირითადად ჰიდროსადგურების მშენებლობის ხარჯზე. თან ისე, რომ არ ითვალისწინებენ საბაზისო სიმძლავრეთა პროპორციული განვითარების აუცილებლობას, რომელთა ამოქმედება 1972 წლიდან შეწყვეტილია.

თათბირზე ინფორმაციები მოდამი დაკვეფდებარებული საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის შესახებ გააკეთეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორმა გ. ვ. ქაშაკაშვილმა, საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ დირექტორმა მ. პ. აფაქიძემ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ო. ნ. სულაძემ, მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის დირექტორმა ა. ვ. ჭანტურიამ, ქვაბის ტყვია-თუთიის მაღაროთსამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ბ. ა. ჟუკოვმა, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ გენერალურმა დირექტორმა ბ. გ. სანიკიძემ, საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გენერალურმა დირექტორმა რ. ნ. თევზაძემ, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველოს უფროსმა ი. კ. გოგიტიძემ, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ლ. გ. ვარდოსანიძემ, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ვ. ტ. გოგოლაძემ.

თათბირზე გამოვიდა ამხანაგი **ვ. ი. დოლგიხი,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. მან თქვა:

უნდა გამოთქვა დიდი კმაყოფილება დღევანდელი თათბირის გამო. მივიღეთ იმის ნათელი სურათი, თუ რა კეთდება დღეს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ისეთი მიმართულებებით, როგორიც არის მძიმე მრეწველობა, ტრანსპორტი, კაპიტალური მშენებლობა, ესე იგი სადღეისოდ ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებებით.

შემდეგ ვ. ი. დოლგიხმა მადლობა მოახსენა ე. ა. შევარდნაძეს, თათბირზე გამოსულ ყველა ამხანაგს საგულისხმო ინფორმაციისათვის ფართო წრის საკითხებზე. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, თქვა შემდეგ ამხანაგმა ვ. ი. დოლგიხმა, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ფრიად მაღალ შეფასებას აძლევენ იმ მუშაობას, რომელსაც ეწევიან საქართველოს პარტორგანიზაცია, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები სამეურნეო მშენებლობის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დარგში ჩვენი პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის. ჩვენ კარგად გვესმის ის სირთულეები და სიძნელეები, რომლებსაც აწყდებით მუშაობაში, მიგვანიშნა, რომ რესპუბლიკა სწორ გზას ადგას, აქტიურად და სრულად ვითარდება. ეს ერთერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია, რომელიც უნდა აღინიშნოს. განვითარების ტემპი საკმაოდ სწრაფია. აღვმტება საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს. ხუთწლედის ორი წლის შედეგები, 1983 წლის მოსალოდნელი შედეგები, გარკვეული სირთულეების მიუხედავად, იმედისმომცემია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა, პირადად ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი, თქვა შემდეგ ამხანაგმა ვ. ი. დოლგიხმა, მაღალ შეფასებას აძლევენ გეზს, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დაადგა რესპუბლიკის ცხოვრებაში არსებულ სირთულეთა დასაძლევად. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ შემოქმედებითს მიდგომას ყველა იმ საკითხის გადაწყვეტისადმი, რომლებიც დგება მუშაობის პროცესში. ეს ეხება სახალხო მეურნეობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებასაც, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, ტრანსკავკასიის საუღელტეხილო გზის, დისკალინისა და წესრიგის განმტკიცების საკითხის დაყენებასაც, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფასაც, ყველა საკითხს, რომლებზეც ყოველდღიურად მუშაობთ. რესპუბლიკაში კარგად არის დაყენებული შუმაობა რესურსების, მასალების რაციონალური გამოყენებისათვის და ა. შ. და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს არა მარტო პარტიის ცენტრალური კომიტეტის, არამედ ყველა პარტიული კომიტეტის — საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სამეურნეო ხელმძღვანელთა აქტიურობა ამ საკითხში. ამისათვის ყველა თქვენგან დიდი მადლობა უნდა მოვახსენო.

დღეს აქ შეიკრიბნენ საწარმოების, უწინარეს ყოვლისა, მძიმე მრეწველობის, სახალხო მეურნეობის სანედლეულო, სატრანსპორტო, სამშენებლო დარგების, ყველაზე რთული, ყველაზე შრომატევადი და ამასთანავე მთელი ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე დარგების ხელმძღვანელები. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე გამოსვლისას აღნიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, სკკ ხალხო მეურნეობის ეს უმნიშვნელოვანესი დარგები წარმოადგენს ჩვენი განვითარების საძირკველს, საფუძველთა საფუძველს. სწორედ ამიტომ არის, რომ აღნიშნული დარგების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას ჩვენ უნდა ვუდგებოდეთ ასეთი პოზიციებიდან.

რა თქმა უნდა, აქ შეიძლება ლაპარაკი ბევრ პრობლემაზე, რომლებიც ჩვენი ეკონომიკის ამ დარგების განვითარებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ აქ ყველაფრის მოხსენება შეუძლებელია და არც არის საჭირო. მაგრამ ზოგიერთი მომენტი მაინც მინდა აღვნიშნო.

უწინარეს ყოვლისა, გიამბობთ იმას, რაც ვნახე აქ, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. ამასთან შედარებით, რაც აქ ადრე იყო, რაც ამხანაგებმა მითხრეს, იგრძნობა, რომ მარილაცდა კოლოსალური მუშაობაა გაწეული საწარმოს რეკონსტრუქციის, ახალი ტექნოლოგიის შექმნისათვის, თუ გნებავთ, ამ ძველი, — არა ამდენად წლების მიხედვით, რამდენადაც შექმნილი ვითარების მიხედვით, — ქარხნის ასაღორძინებლად. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა. ძალიან კარგია, მაგრამ, ჩემი აზრით, კოლექტივის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება მალე დაამთავროს ძირითადი აგრეგატების— ღუმლების, აირსაწმენდი დანადგარების რეკონსტრუქცია. რა თქმა უნდა, ადამიანები ვერ შეურიგდებიან ამ ფაქტს. ადამიანები ვერ ეგუებიან ამ ფაქტს, ოღონდ ეს ეგუებიან ამ ფაქტს, ეს ეგუებიან ამ ფაქტს, ეს ეგუებიან ამ ფაქტს,

საკლესიო განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია „თავისუფლებისა და დემოკრატიის“ შესახებ ლაპარაკით ინიღბება და ამავე დროს აშკარად ადგას ექსპანსიონისტურ, მშვიდობის საქმისადმი მტრულ გეზს, რათა ჩაახშოს ხალხთა მისწრაფება დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისადმი, ფაქტობრივად ხელთ იგდოს სხვათა ტერიტორიები და დაუმორჩილოს ასეთი ტერიტორიების მოსახლეობა თავის დიქტატს. ამასთან ვაშინგტონი არ ერიდება არსებული საერთაშორისო შეთანხმებების, უწინარეს ყოვლისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ფეხქვეშ გათელვას, ცდილობს უკუაგდოს და შეურაცხყოს მორალის, სამართლიანობისა და საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმები.

ამის თვალსაჩინო დადასტურებაა, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრატეგიული სამეურნეო ტერიტორიის — წყნარი ოკეანის მიკრონეზიის კუნძულების მიმართ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების დროებითს მმართველობას დაექვემდებარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1947 წლის გადაწყვეტილებით.

ოცდათხუთმეტ წელიწადზე მეტი სავსებით საკმარისი ვადაა საიმისოდ, რომ სამეურნეო ტერიტორიის მართვა-გამგეობის მანდატის მიმღებმა სახელმწიფომ საქმით დაამტკიცოს, რომ მან ნამდვილად განახორციელა ყველა ღონისძიება, რათა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაშია ნათქვამი, „ხელი შეუწყოს ტერიტორიათა მოსახლეობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს მეურვეობის პირობებში, მის წინსვლას განათლების დარგში და პროგრესულ განვითარებას თვითმმართველობისა თუ დამოუკიდებლობის მიმართულებით“.

ამერიკის შეერთებულ შტატებს არათუ არ შეუწყვია ხელი მიკრონეზიის მოსახლეობის ეკონომიკური პროგრესისათვის, არამედ, პირიქით, ყველაფერი იღონა, რათა არ დაეშვა ამ ტერიტორიის დამოუკიდებელი ცხოველუნარიანი ეკონომიკის შექმნა, რის შედეგადაც, როგორც თვით მიკრონეზიელები აღნიშნავენ, დღესდღეობით ტერიტორიის მოსახლეობა ნაკლებად არის თვითუზრუნველყოფილი, ვინემ, მეურვეობის არსებობის დაწყებითს პერიოდში.

მას შემდეგ, რაც მიკრონეზიის მართვა-გამგეობის მანდატი მიიღო, ამერიკის შეერთებული შტატები ყოველად უბოდიშოდ ცდილობს გამოიყენოს სამეურვეო ტერიტორია, უწინარეს ყოვლისა, თავისი სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებისათვის. ცნობილია, რომ ამერიკელ „მეურვეთა“ ერთ-ერთი პირველი აქცია იყო მიკრონეზიელთა გაძევება მთელი რიგი კუნძულებიდან და ბიკინის და ენიოეტოკის ატოლების გადაქცევა ბირთვული იარაღის გამოსაცდელ პოლიგონად. ის ამბავი, თუ რა უბედურება მოუტანეს მიკრონეზიელებს, და საერთოდ წყნარი ოკეანის აუზის სხვა ხალხთა წარმომადგენლებს ამ გამოსვლებმა, მთელმა ქვეყანამ იცის. მიკრონეზიელები დღესაც განიცდიან იმ მძიმე შედეგებს, რომლებიც მოჰყვა ადგილობრივ მკვიდრთა ძალადობრივ გასახლებას, გარემოს მოწამვლას, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა მიკრონეზიელთა ახლანდელი და მომავალი თაობების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ფართოვდება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საქმიანობა მიკრონეზიაში. იგი აშკარად ცდილობს მოიპოვოს სამერმისოდ კუნძულებზე სამხედრო ყოფნის განსაკუთრებული უფლებები. ამ მიზნით ამერიკის შეერთებული შტატები სამეურვეო ტერიტორიის ცალკეული ნაწილების მოსახლეობას თავს აბავებენ გრძელვადიან სამხედრო შეთანხმებებს, რომელთა შესაბამისადაც პენტაგონს შეუძლია შეინარჩუნოს და გაფართოოს კუნძულებზე შექმნილი პოლიგონები რაკეტული ტექნიკის გამოსაცდელად, სამხედრო-საზღვაო ბაზები, სტრატეგიული ავიაციის აეროდრომები და სხვა სამხედრო ობიექტები, შექმნას იქ ბირთვული, ქიმიური იარაღისა და სხვა საზიანობათა მასობრივი მოსპობის იარაღის საწყობები. ყოველივე ეს არსებითად ნიშნავს, რომ შეერთებული შტატები არად აგდებს მეურვეობის ძირითად ამოცანას, რომლის არსიც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაა. ღონისძიებები, რომლებიც უკვე განახორციელა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიკრონეზიაში, და განსაკუთრებით ნაბიჯები, რომლებსაც ამერიკა დგამს უკანასკნელ ხანს ამ ტერიტორიის ირგვლივ, სერიოზულ საფრთხეს უქადის არა მარტო მიკრონეზიის, არამედ, აგრეთვე ამ რეგიონის მიმდებარე ქვეყნების ხალხებს.

უგულებელყოფდა რა მიკრონეზიის ხალხის კანონიერ ეფლებებსა და ინტერესებს, ამერიკის შეერთებული შტატები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მანდატის. შერმით ახორციელებდა და ახორციელებს წყნარი ოკეანის კუნძულების მიმართ პოლიტიკას, რომლის მიზანია გაიხადოს ისინი თავის კოლონიურ დანამატად და სამხედრო-სტარტეგიულ პლაცდარმად წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში. ამერიკის შეერთებული შტატები ყოველნაირად ცდილობს ამ ტერიტორიის ხალხს აჰყაროს სუვერენული უფლებები, დაანაწეროს მიკრონეზია.

ნეოკოლონიალისტური სტატუსი, რომელსაც მიკრონეზიის ცალკეულ ნაწილებს აბავებენ თავს, „თანამეგობრობის“ აბრით — მარიანის კუნძულებს და „თავისუფალი ასოციაციის“ ლოზუნგით — პალაუს, მიკრონეზიის ფედერაციულ შტატებსა და მარშალის კუნძულებს, — სხვა არა არის რა, თუ არა სამართალსაწინააღმდეგო ცდა — წყვეტდნენ ხალხთა სვებედს მეთოდებით, რომლებიც კოლონიური ძარცვა-გლეჯის ბაბილო დროს ახასიათებს და რომელებიც გულისწყრომით არის დაგმობილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალი გადაწყვეტილებით. ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედებით მიკრონეზიის ცალკეულ ნაწილებში ვერც ვერავითარი თავს მოხვეული ეგრეთ წოდებული „პლებისციტები“ და „რეფერენდუმები“ და სამეურნეო საბჭოებში მათი შედეგების ლეგალიზების ვერც ვერავითარი ცდები ვერ მიჩქმალავენ იმ აშკარა ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაცია მიმართავს დიქტატისა და შანტაჟის ყველაზე გაწაფული საშუალებებს, რათა არ დაუშვას მიკრონეზიის ხალხს გაწყუოფელი უფლების — ჰეშმარიტი თვითგამორკვევის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლების განხორციელება.

მიკრონეზიის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების უკანონო და ანტისაწესებო მოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აშკარა აბუჩად აგდებაა და არ შეიძლება არ იწვევდეს მსოფლიო საზოგადოებრიობის აღშფოთებასა და პროტ ს ტ ს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას არაერთგზის მიუჩნევია საჭიროდ შენარჩუნებულიყო მიკრონეზიის ერთიანობა, ხოლო თავის ისტორიულ დეკლარაციაში კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ დაგმო „ყოველგვარი ცდა, რომლის მიზანიც არის კოლონიური ტერიტორიების ეროვნული ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის ნაწილობრივი ან სრული დარღვევა“.

ამერიკის შეერთებული შტატების ცალმხრივი მოქმედება აშკარად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების იმ დებულებებსაც, რომლებიც პირდაპირ ითვალისწინებს, რომ სტრატეგიული სამეურვეო ტერიტორიის (როგორიც არის მიკრონეზია) სტატუსის ყოველგვარი შეცვლა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით.

შექმნილ პირობებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშუალო მოვალეობაა ყოველი ღონე იხმაროს, რათა უზრუნველყოს მმართველი ხელისუფლების მიერ იმ ვალდებულებათა შესრულება, რომლებიც გამომდინარობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებიდან და ამ ორგანიზაციის გადაწყვეტილებებიდან, არ დაუშვას იმ ცდების რეალიზაცია, რომ მსოფლიო დააყენონ სამეურვეო ტერიტორიის სრული შთანთქმის მომხდარი ფაქტის წინაშე, დაეხმარონ ამ ტერიტორიის ბედკრული ხალხს განახორციელოს თავისი კანონიერი უფლება — შექმნას ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მიაღწიოს მშვიდობიან ცხოვრებას, რომელიც თავისუფალი იქნება სამხედრო და სხვაგვარი ნეოკოლონიალისტური ხუნდებისაგან, არ ექნება მომავლის შიში.

13 აგვისტო

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

ხალხთა მტკიცე სიტყვა

განიარაღება დროის მოთხოვნაა

ბირთვული იარაღის აკრძალვისათვის მოქმედებისა და ატომური დაბომბვის მსხვერპლთან სოლიდარობის კვირეულმა, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით 6-13 აგვისტოს გიმართა, დამაჯერებლად ცხადყო, რომ ახალ საფეხურზე ავიდა ფართო ომის საწინააღმდეგო მოძრაობა, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა. მრავალრიცხოვანი დემონსტრაციების, მიტინგების, კონფერენციების, სიმპოზიუმების, საპროტესტო მარშების დროს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხალხებმა თავიანთი მტკიცე სიტყვა თქვეს მშვიდობისა და ომის ძალების მეტოქეობაში.

„ხიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედია არ უნდა განმეორდეს!“ — ასეთია ქვეყნად მილიონობით ადამიანის მტკიცე მოთხოვნა.

დღეს ჩვენი პლანეტის თითოეული მკვიდრები წყვეტს თავისთვის საკითხს: ვის მხარეზეა? იმათ მხარეზე, ვინც გულგრილად ადევნებს თვალს, როგორ მწვავდება საერთაშორისო ვითარება, როგორ ამზადებს ამერიკის შეერთებული შტატები დასავლეთ ევროპაში „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგებას, როგორ აჩქარებს პენტაგონი სტრატეგიული შეიარაღების — სახმელეთო, საზღვაო თუ საჰაერო იარაღის უახლესი სისტემების შექმნას? თუ იმათ მხარეზე, ვინც მტკიცედ უჭერს მხარს მშვიდობას, ვინც აქტიურად იბრძვის ბირთვული კატასტროფის საფრთხის აღკვეთისათვის? მოქმედების კვირეულის წარმატება თვალნათლივ მოწმობს, რომ ახლა „მშვიდობის პარტიას“ სულ ახალ-ახალი რაზმები ემატება — მასში შედიან სრულიად სხვადასხვა ასაკის, მრწამსისა და რწმენის ქალები და მამაკაცები. კომუნისტებთან ერთად მოქმედების კვირეულში აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული და ლიბერალური პარტიების, ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების, პროფკავშირების წევრები, გარემოს დაცვისათვის მოძრაობის მონაწილენი.

ომის საწინააღმდეგო მოძრაობის ზრდის პასუხად რეიგანის ადმინისტრაცია და ნატოს ხელმძღვანელობა აძლიერებენ პროპაგანდისტულ ინციდენტებს, ამერიკის შეერთებულ შტატებში სტრატეგიული სარდლობის შტაბ-ბინასთან მოქმედების კვირეულის ფარგლებში გამართული დემონსტრაციის გარეკვისას პოლიციამ სასტიკად დაარბია მისი მონაწილენი და დაპატიმრა 190 კაცი. ასეთივე ბედი ეწიათ პენტაგონის სენეკას ბაზის რაიონში გაშლილი „მშვიდობის ბანაკის“ მონაწილე 200-ზე მეტ ამერიკელს. იტალიაში დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლებიც პროტესტს აცხადებენ კომიზიზში ამერიკული რაკეტების განლაგების გამო, პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და ხელკეტები გამოიყენა. მძიმედ დაშავდა 60 კაცი, მათ შორის იტალიის პარლამენტის დეპუტატები.

მაგრამ ვერც რეპრესიები, ვერც მუქარა ვერ შეაჯერებს ბრძოლას ვაშინგტონის მიერ გამოწვეული ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ. მსოფლიოს ხალხები მოითხოვენ შეაჩერონ ბირთვული შეიარაღების საშიში ესკალაცია და სიცოცხლეს, პროგრესსა და განვითარებას მოახმარონ სახსრები, რომლებიც სეკვდილის მომზადებისათვის იხარჯება.

უშიშროების საბჭოში

დაგმეს სამხედრო შანტაჟის პოლიტიკა

ნიუ-იორკი. **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში შეუდგნენ ლიბიის წინააღმდეგ შეერთებული შტატების საჰაერო პროვოკაციების შედეგად ხმელთაშუა ზღვის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის რაიონებში შექმნილი საშიში ვითარების განხილვას. საბჭო მოწვეულია ამ ქვეყნის მოთხოვნით.**

დისკუსიის გახსნისას, ლიბიის წარმომადგენელმა ა. ბურეინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქვეყნის სანაპიროსთან ამჟამად თავი მოუყრია ამერიკის შეერთებული შტატების დიდ სამხედრო-საზღვაო ძალებს. ამერიკის სამხედრო ოვითმფრინავები ყოველდღე ახორციელებენ პროვოკაციულ ფრენას ლიბიის საზღვრის მახლობლად, აშკარად ცდილობენ გამონახონ შეიარაღებული შეტაკების საბაბი.

სამართლიანი კრიტიკის ქარცეცხლში რომ აღმოჩნდა, ამერიკის დელეგატმა ჩ. ლიჩენსტაინმა ბრალი დასდო ლიბიის მოიგონა, მიმართა უხეში მუქარისა და დაშინების სტანდარტულ ტაქტიკას. მონაჩმახის საშუალებით იგი შეეცადა შეეშინა ლიბიისადმი მტრობის ატმოსფერო. ამერიკის წარმომადგენელმა შესაძლებლად მიიჩნია ამ სუვერენული სახელმწიფოსათვის არსებითად წაეყენებინა ულტიმატუმური მოთხოვნები, ეკარნახა მისთვის ვაშინგტონისათვის სასურველი პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირი, თქვა სსრ კავშირის წარმომადგენელმა რ. ოვინიკოვმა, გადაჭრით გმობს სამხედრო შანტაჟისა და მუქარის პოლიტიკას, რომელსაც ახორციელებს შეერთებული შტატები ლიბიის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატები თავის მოქმედებით განზრახ აღვივებს საერთაშორისო დაძაბულობის ისედაც გაჯერებულ კერას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, დამატებით საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას. ვაშინგტონის დიდმპყრობელურ თვითნებობას, მის სისტემატურ და უხეშ ჩარევას სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო.

ავიწროებენ მკვიდრ მოსახლეობას

დამასკო. **მდინარე იორდანის ოკუპირებულ დასავლეთ ნაპირზე ისრაელი დამპყრობლები განაგრძობენ მკვიდრი არაბი მოსახლეობის კუთვნილი მიწების კონფისკაციას.** აგრესორები აქ ქმნიან გასამხედროებულ დასახლებებს; აგებენ სამხედრო ობიექტებს. ისწრაფვიან რა განამტკიცონ თავიანთი ბატონობა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე, ოკუპანტები აფართოებენ აქ ისრაელის არმიის ყაზარმების ქსელს, იუწყება პალესტინის ვაფას საგენტო. მარტო წელს აშენდა 15 ყაზარმა, დაგეგმილია კიდევ ოცის აგება. ოკუპანტებმა გადაწყვიტეს მათ ასაშენებლად არაბ გლეხებს წაართვან 20 ათასი დონუმი ნაყოფიერი მიწები.

თავისუფლების 38 წელი

15 აგვისტო იაპონელ დამპყრობთაგან კორეის განთავისუფლების დღეა

ფხენიანი თავზე აღმართულ მორაბონის მთაზე დგას იაპონელი ოკუპანტებისაგან კორეის განთავისუფლების დროს დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი. მასზე წარწერილია ბრინჯაოთი ჩამოსხმული სიტყვები:

„სამარადისო დიდება დიად საბჭოთა არმიას, რომელმაც კორეელი ხალხი იაპონელი კოლონიზატორებისაგან გაათავისუფლა და ბედნიერებისა და დამოუკიდებლობის გზა გაუხსნა. 1945 წლის 15 აგვისტო“.

ამ დღიდან უძველესი ქვეყნის ისტორიის ახალი თავი დაიწყო.

განთავისუფლების შემდეგ ჩრდილოეთ კორეის მშრომელები სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგნენ. 1948 წლის 9 სექტემბერს გამოცხადდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. მას შემდეგ განვლილ წლები შეუპოვარი შრომისა და ბრძოლის შედეგად მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებითა და გარდაქმნებით აღინიშნა. რესპუბლიკამ მთლიანად იცვალა იერსახე. აშენდა მძლავრი სამრეწველო საწარმოები, შეიქმნა განვითარებული სოფლის მეურნეობა, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა. დღეს რესპუბლიკას აქვს მრეწველობისათვის სრულიად ახალი დარგები: მეტალურგიული და მანქანათმშენებლობა, სამთომომპოვებელი და ნავთობქიმიური, ქვეყანა აწარმოებს რთულ ჩარხებს, ტრაქტორებს, ავტომანქანებს, საზღვაო გემებს, ელმავლებსა და ა. შ. თვალსაჩინო მიღწევებია მეცნიერებისა და კულტურის სფეროში.

კორეელი ხალხი დღენიადაგ გრძნობს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერასა და ძმურ დახმარებას. ჩვენი ქვეყნის მონაწილეობთ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში აიგო მრავალი სახალხო-სამეურნეო ობიექტი, მათ შორის კიმ ჩაკის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, პუქჩანის ჰიდროელექტროსადგური, ქიმიური, ელექტროტექნიკური და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები.

* * *



სურათზე: **სახალხო კულტურის სასახლე ქვეყნის დედაქალაქ ფხენიანში.**

საკლესიო ფოტო:



● **დელი.** ინდოეთის ტრიბუნის შტატის ტერიტორიაზე მოქმედი ექსტრემისტების დიდმა ჯგუფმა იარაღი დაყარა და ჩაბარდა ხელისუფალთ. როგორც იუნის სააგენტო იუწყება, მათ განაცხადეს, რომ ნებაყოფლობით ამბობენ უარს შემდგომ ძირგამომთხრელ საქმიანობაზე და აღიარეს, რომ მათი მოქმედება ზიანს აყენებდა ინდოელი ხალხის ინტერესებს. წინათ აგარტალში — ტრიპურის ადმინისტრაციულ ცენტრში — „კაპიტულაციი“ გამოაცხადა 140 კაცისაგან შემდგარმა ექსტრემისტულმა ბანდამ.

● **ბუენოს-აირესი.** იმის გამო, რომ იზრდება ჩილელი ხალხის აღშფოთება, რომელიც ილაშქრებს პინოჩეტის სასხლეული დიქტატურის და მისი ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ, ჩილეს დიქტატორმა და მისმა ხროვამ მოაწყეს მინისტრთა გადაჯგუფება-გადმოჯგუფება.

● **კანბერა.** ახალი ზელანდიის დედაქალაქ ველინგტონის მეზღვაურებმა და ნავსადგურის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა ამ ქალაქის ნავსადგურში ამერიკის სარაკეტო კრეისერის „ტეხასის“ ყოფნის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. გაფიცვის შედეგად ნავსადგურის მუშაობა მოლიანად შეჩერებულია. ხელისუფალნი იძულებულნი არიან გამოიყენონ სამხედრო-ხატარსპორტო თვითმფრინავები ამ ტვირთის გადასაზიდად, რომელიც ველინგტონში ჩვეულებრივ შემოდის საზღვაო გზით.



სურათზე: **ვლადიმერ მელაძე.**
დ. იაკობაშვილის ფოტო.

თუ იცი, რატომ გაჩნდი და ვის ემსახურე...

ნარკვევი

დიდი დაკვირვება არ უნდა, სიცოცხლე სხვაა და, ცხოვრება — სხვა...

ზოგი ფიქრობს — სიცოცხლე ცხოვრებას მოიცავს, ერთად იწყება და ერთად თავდებაო. არა, ცხოვრება სიცოცხლის მეოცე გრძელდება.

კაცის სიცოცხლე ხანმოკლეა, ცხოვრებაა ხანგრძლივი, ზოგჯერ მარადიულიც.

რუსთაველი, დანტე და ტოლსტოი უკვდავნი არიან.

გამოდის, რომ სიცოცხლე მოლაწეობის ასპარეზია...

ჩვენ კი, მოკვდავნი, შვილს ვემახსოვრებით, ზოგი შვილიშვილს, ზოგი იქეთაც გავალწევთ...

ზოგი დაბადებიდან უდღეურია — გინდ ყოფილა, გინდ არა. სიკვდილი აფორმებს არარაობას!

თუ ეშმაკი „წამხდარი ანგელოზია“, გამოდის, ეშმაკი არ იბადება! მაშ რა ცდუნებაა ის, ანგელოზად დაბადებულ ეშმაკად რომ აქცევს და სიკეთისათვის გაჩენილს უზნეობას ამსახურებს? — სიხარბე!

სიხარბე, სიხარბეა ყველა სიცოცხლეს ბოლოსაყარი, ერთი ბრძენი რომაელი ამბობდა: — ამ ადამიანებისა გამკვირვებია, ისე მკვიდრდებიან, თითქოს სამუდამოდ იყვნენ ამ ქვეყნად მოსულებიო!

ადამიანი არსაიდან მოსულა და არსაით მიდის, „წუთისოფლის სტუმარია“ და უკან მომდევნო მგზავრზე უნდა იფიქროს.

ზოგი ოქრო-ვეცხლით ვერ ძღება, ბოლოს ორი აღელი მიწით გაჩუმდება და მერე ვინ ვის გლეჯს და წეწავს მისი ქონებისათვის, ღმერთმა უწყის...

ზოგი კი სულ იმას ცდილობს იმდენი იშრომოს, იმდენი უერთგულოს ადამიანს, რომ „საქმემან“ გამოაჩინოს იგი.

ბევრია ამ საწუთროში ისეთი, რომელმაც იცის ეს და ამ წესით ცხოვრობს.

ასეთია ვლადიმერ მელაძე, აგერ ახლა რომ ჩქარი ნაბიჯით მიდის ჩემ წინ. ეს ფიქრიც, ნისლივით უფორმო, ამ კაცმა აღმიძრა, რომელიც ერთი შეხედვით ასე არ გამოირჩევა ამ ზოგა ხალხისაგან. როცა ასეთ ადამიანებს ახსენებენ, ყოველთვის ვფიქრობ, — სწორედ ის პროფესიაა ამ ქვეყნად ყველაზე კარგი, საჭირო და რომანტიული, რომელიც მან აირჩია.

...მაშინ გავიცანი, ზესტაფონში „ფეროს“ ქარხანას ბოლსაწმენდი რომ დაუდგეს და ჭვარტლისაგან იხსნეს იმერეთი. „მაჭანკლებმა პირი იბრუნეს ჩვენი სოფლისკენო“. ახლა ასე ხუმრობენ აქაურები (იმერლებს იუმორს ვინ გამოულევს!). დიდხანს ჯიბით ატარებდა პატარა ცელოფანის პარკს, — ამონაბოლქვი მჭვარტლით სავსეს, — ბოლსაწმენდის გაშვების დღეს გამართულ მიტინგზე რომ დაურიგეს ყველა სტუმარს.

ჰყვებოდა ქარხნის ამბავს, ძველს, ახალს (ისე ხშირად ვწერთ ჟურნალისტები, „თავის თავზე მოყოლა არ უყვარსო“, რომ ახლა მინდა დავიფიცო, რომ ეს მართლა ასეა).

როცა ასეთი ადამიანები საქმეზე ლაპარაკობენ, თავს ამ საქმის ნაწილად თვლიან. ამიტომაც თავის თავს არ ახსენებენ, სიხარული რომელსაც ისინი თხრობისას განიცდიან, გაფიქრებინებს, რომ ეს საკუთარი თავგადასავალიც არის ამ საერთო ამბავში გაცხადებული.

ზოგი, პენსიაზე მყოფი, ემიგრანტივით ლაპარაკობს იმ სამყაროზე, რომელშიც მთელი სიცოცხლე გაატარა, ზოგი სულაც არ შორდება იქაურობას. სხვა ჰაერით ვერ სუნთქავს. უმეტესად ეს ძლიერი ადამიანების ხვედრია.

პენსიონერი ზოგში უძლურის ასოციაციას იწვევს, იქნებ ტერმინიც არ არის მთლად ზუსტად შერჩეული: პენსიაზე გასვლა არც ღირსებას აკლებს კაცსა და არც სახელს. შეიძლება ჩვენც არა ვართ მთლად მართალი, მაგრამ ხშირად თვითონ მასზეც ბევრია დამოკიდებული. ზოგი ნაჭუჭისაკენ იწევს ტყუილუბრალოდ, თავს თვითონ იზედმეტებს!

კაცი ყველა დროში და ასაკში ხარ საჭირო, ამის შეგნება მართავს, აცოცხლებს და ახალისებს ადამიანს. ამიტომ არ აკლია ამ კაცს არც მხნეობა და არც ხალისი.

არ არსებობს ადამიანი, ვლადიმერ მელაძეს იცნობდეს და თქვას, რომ ის „ყოფილი“ მთავარი ინჟინერი ან დირექტორია, ან საერთოდ რაიმე საქმეში არის „ყოფილი“.

მეტალურგი ვლადიმერ მელაძე იმ ადამიანებს განეკუთვნება, რომლებიც ნებისმიერ საქმეში (არა მარტო საქმეში, არამედ ცხოვრებაშიც) მოდიან და არასოდეს აღარ მიდიან.

უფრო ზუსტად, არასდროს არსად არ „გადიან“ (მათ შორის პენსიაზეც), რადგან შრომა მათი ცხოვრების შინაარსია. შეიძლება შეიცვალოს ფორმა, შეუძლებელია შეიცვალოს შინაარსი!

გასვლა შეიძლება თამაშიდან, თუ შრომობ და არ თამაშობ, ცხოვრებიდან გასვლაც შეუძლებელია.

80 წელს აღარაფერი უკლია. დიდი ჯალაბის პატრონია. გეგმები — სადღეისო და სამომავლო, საზრუნავი — ათასი, მოწოდება — ოთხმოცისა. და კიდევ ათი ოთხმოცის სამყოფი.

გულით მინდოდა უბიოგრაფიოდ დამეწერა ამ კაცზე. პიროვნებაზე, საერთოდ, ჩვევებზე, ასეთ ხასიათზე, მაგრამ არ გამოდის...

წარსული ცხენისწყლის პირას ერთ პატარა კოპწია სოფელში დაიწყო. მამა მჭედელი იყო. ამ საუკუნის დამდეგს კი არა, ახლა ფასობს სოფელში მჭედელი და მაშინ რა იქნებოდა?! უყვარდა გამრჯე კაცი სოფელს, ერთი პატარა, ხელისგულისხელა საყანეც ჰქონდათ მელაძეებს, თუ სამჭედლოში არა, მაშინ საგანგებოდ მოპირული თოხით ყანაში (პირველი ხუთწლედის მონაცემებით ჩვენში მაშინ 700 ინჟინერი ყოფილა).

აქ „დიდ მასწავლებელზე“ უნდა ჩავთოთ ორიოდ სიტყვა. გიორგი ნიკოლაძე მარტო ნიჭიერი და განათლებული კაცი კი არ იყო, ის ყოველმხრივ ჰარმონიული პიროვნება გახლდათ. საუკეთესო აღზრდისა და მაღალი ზნეობის მქონე, დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, ტყუილად კი არ ამბობს ჩვენი ხალხი. ნიკო ნიკოლაძის შვილობა მარტო საამაყო როდი იყო. მოვალეობაც დიდი იყო რწმენისა და ხალხის წინაშე. ეს ღრმად ჰქონდა შეგნებული დიდი მამის დიდ შვილს.

— ნიკო ნიკოლაძემ შვილი რომ მეტალურგიას უსარდლა, დისწულს — ბესარიონ ჭიკოიძეს ენერგეტიკა ასწავლა.

ტყიბულის ქვანახშირი, ჭიათურის მანგანუმი, ფეროშენადნობთა ქარხნის იდეა, ფოთ-შორაპნის რკინიგზა... ჩვენი მდინარეები, ენერგეტიკის მადანი საქართველოს ერთ მთლიან სანაკეთო აზრად ნიკო ნიკოლაძემ აქცია... როცა ახალგაზრდებთან ნიკოლაძეზე ჩამოვარდება სიტყვა, მე ყოველთვის ვამბობ: ხალხური სიბრძნე გიახსენეთ — „მითხარი ვის იცნობ და გეტყვი ვინ ხარო“. იგი კარგად იცნობდა ნ. ჩერნიშევსკის, ა. გერცენს, ნ. ოგარევს, მ. სალტიკოვ-შჩედრინს, ნ. მიხალკოვსკის, ლუი ბლანს, პოლ ლაფარგს, ალფონს დოდეს... 1865 წელს ლონდონში კარლ მარქსი გაიცნო, რომელსაც ამერკაკასიაში პირველი ინტერნაციონალიზმის წარმომადგენლობა უთხოვია.

1868 წელს პარიზში ლ. მეჩნიკოვთან ერთად ჟურნალი გადი იყო რწმენისა და ხალხის წინაშე. ეს ღრმად ჰქონდა შეგნებული დიდი მამის დიდ შვილს.

— ნიკო ნიკოლაძემ შვილი რომ მეტალურგიას უსარდლა, დისწულს — ბესარიონ ჭიკოიძეს ენერგეტიკა ასწავლა.

ტყიბულის ქვანახშირი, ჭიათურის მანგანუმი, ფეროშენადნობთა ქარხნის იდეა, ფოთ-შორაპნის რკინიგზა... ჩვენი მდინარეები, ენერგეტიკის მადანი საქართველოს ერთ მთლიან სანაკეთო აზრად ნიკო ნიკოლაძემ აქცია... როცა ახალგაზრდებთან ნიკოლაძეზე ჩამოვარდება სიტყვა, მე ყოველთვის ვამბობ: ხალხური სიბრძნე გიახსენეთ — „მითხარი ვის იცნობ და გეტყვი ვინ ხარო“. იგი კარგად იცნობდა ნ. ჩერნიშევსკის, ა. გერცენს, ნ. ოგარევს, მ. სალტიკოვ-შჩედრინს, ნ. მიხალკოვსკის, ლუი ბლანს, პოლ ლაფარგს, ალფონს დოდეს... 1865 წელს ლონდონში კარლ მარქსი გაიცნო, რომელსაც ამერკაკასიაში პირველი ინტერნაციონალიზმის წარმომადგენლობა უთხოვია.

1868 წელს პარიზში ლ. მეჩნიკოვთან ერთად ჟურნალი გადა, წიგნს დაეწფა, 1924 წელს თბილისში ქიმიის ტექნიკუმი დაამთავრა და უნივერსიტეტს მიაშურა.

— პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე შეეედი, მაშინ პირველად მოეწყო მისაღები გამოცდები!

— რეპეტიტორი თუ გყავდათ?..

ვლადიმერმა გაიცინა, და ტონით მაგრძნობინა სათქმელი, სიტყვებით მხოლოდ ეს თქვა:

— მე ნიკოლოზ მუსხელიშვილსა და გიორგი ნიკოლაძეს ჩავბარე მისაღები გამოცდები!

ნიკოლოზ მუსხელიშვილის და გიორგი ნიკოლაძის ხელჩამორთმეული ადამიანიც კი პატივსაცემია და მათი მოწაფე რომ სასარგებლო და კარგი გაიზრდებოდა, ამას რა თქმა უნდა?!

ფაკულტეტზე სულ ხუთი სტუდენტი სწავლობდა. დაამთავრა, ინჟინერი გახდა, რომელთა იმედად საქართველომ „ინდუსტრიის რესპუბლიკის“ შენება დაიწყო

თეატრალური პრემიერები

„ჩრდილოეთის პატარძალი“

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიუძღვნა მორიგი პრემიერა — დ. თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალი“ ქუთაისის საოპერო თეატრის კოლექტივმა. სპექტაკლი დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ, დირიჟორია თ. ჯუმბურიძე.

მთავარ როლებს ასრულებენ თეატრის წამყვანი სოლისტები ლუიზა ახალაძე, ბორის მელაძე, ვაჟა კუბლაშვილი, ამირან ფხაკაძე და სხვები.

თეატრი აპირებს თავისი ახალი ნამუშევარი გააცნოს ქალაქ გეორგიევსკის მცხოვრებლებს.

სურათზე: სოლისტი ლუიზა ახალაძე ნინო ჭავჭავაძის როლში და მსახიობი ბორის მელაძე ალექსანდრე გრიბოედოვის როლში.

გ. ბერსამინას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წანა დვინეფაძე

მგზავრული

ნუში არ იშლის ნუშობას
მას პირველს გაუაპრილდა!
ზარც გული იშლის გულობას,
სიმღერას გაუნაპირდა.
ნუში ნუშობას არ იშლის,
აფეთქდა, გაუაპრილდა!

შევეხმიანოთ ერთმანეთს,
გავკენწლოთ გაშაირებით...
გადვინადიროთ, დავლაბოთ
მთა თოვლიანიც, უთოვლოც,—
მეც მომქვს ნანადირევი
უიარაღოდ, უთოფოდ!
გადვინადიროთ, დავლაბოთ
მთა თოვლიანიც, უთოვლოც...

არ გაიკვირვოს თუშეთმა
ამგვარი გათამამება,
მგზავრსაც მარტვით სცოდნია
დღე-ღამის გათანაბრება!
არ გაიკვირვოს თუშეთმა
ამგვარი გათამაშება.

მთელი სიცოცხლე მეყოფა
ეს უჩინარი საგზალი, —
კაკასიონსაც არ ეთქმის
ამ გზაზე უკვე ხაზღვარი,

მთელი სიცოცხლე მეყოფა
ეს უჩინარი საგზალი...
შევეხმიანოთ ჩანჩქერებს,
გავკენწლოთ გაშაირებით.

ნუში არ იშლის ნუშობას,
მრავალგზის გაუაპრილდეს!
თუშიც არ იშლის თუშობას,—
შერცხვეს ვინც გაუნაპირდეს.
ნუში ნუშობას არ იშლის,
მრავალგზის გაუაპრილდეს!

შევეხმიანოთ მთა-გორებს,
გავკენწლოთ გაშაირებით...

II.

ეს ლექსი საგაზაფხულო
ზაფხულის ლხინზე
მოგართვი, —
გაზაფხული დგას შენს
გულში, —
მით სუნთქავს ჩემი ნობათი,
ეს ლექსი, თქმული აპრილში,
ფერისცვალებას მოგართვი...

შენ იცი-როგორ დამლოცავ,
რომ დამინახავ „ხარკელი“,
ვითომდა კვლავაც თქვენთან ვარ
და ვიკვრიტები ხარკელში...
შენ იცი, როგორ დამლოცავ
რომ დამინახავ „ხარკელი“...

... თუში არ იშლის თუშობას...



უსიტყვოდ.
ი. ყეინაშვილის ნახატები.

ვოლოლოგი ჩემი ცხოვრებიდან

ბედნიერი კაცი ვარ!

ლენინგრადში ჩასულ კაცს არ იქნება გულმა არ გაუწყოს მ. გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრისაკენ, რომლის სახელი გახმაურებულია ჩვენშიც და უცხოეთშიც, რაც გასაპირობა მისი მთავარი რეჟისორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის გიორგი ტოვსტონოგოვის ნიჭმა და ოსტატობამ.

გიორგი ტოვსტონოგოვმა, საქართველოში აღზრდილმა და ქართულ კულტურას ნაზიარებმა ხელოვანმა, ჩინებული წერილი მიუძღვნა ქართველ მკითხველს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით, — მას „საქართველოს ცისკრის ამონათება“ ერქვა. (გაზეთი „კომუნისტი“, ა. წ. 3 ივნისი).

ამჯერად სიტყვა ამავე თეატრის საჩინო მსახიობზე, რუსეთის ხალხ სახალხო არტისტზე ოლეგ ბასილაშვილზე იყო, რომელიც ფრიად პოპულარული პიროვნება და ერთ-ერთი უსიყვარულესი მსახიობია. ახლახან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა ო. ხერდობილსკის ინტერვიუ „შეხვედრა ოლეგ ბასილაშვილთან“ — მსახიობის მიერ ვ. ვრუბელსკაიას სატირულ ნაწარმოებ „კათედრაში“ ცრუმეცნიერ ბრიზგალოვის როლის შესრულებასთან დაკავშირებით.

— რაკი თქვენი გაზეთის ფურცლებზე ჩემს შესახებ დაიბეჭდა, ეტყობა საქართველოში თავ-ვიხიანად მოვლიან, რაც ძალიან მახარებს...

...„ჩვენი ბახია“ — ასე ეძახიან ოლეგ ბასილაშვილს ლენინგრადელები და ამ მოფერებაში იგრძნობა სიყვარული არა მხოლოდ ხელოვანისადმი, არამედ პიროვნებისადმიც.

ოლეგ ბასილაშვილი არა მარტო თეატრისა და კინოს თვალსაჩინო მსახიობია, იგი ნათელი პიროვნებაა! ამის დასტურია ეს წერილიც, ჩვენი თხოვნით რომ დაწერა...

— როგორც მონოლოგი დაუწერელი პიესიდან? ეს ძალზე საინტერესოა — თქვა მან, ესე იგი უნდა ვილაპარაკო საქართველოსადმი გრძნობების შესახებ?! საინტერესოა. არის და ცოტა არ იყოს ძნელიც, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა!

წერილი მალე მივიღეთ. თავაზიანობით აღსავსე შესავალში ავტორი გვთხოვს ნებისმიერად მოვექცეთ ტექსტს, რადგან შეიძლება ზოგიერთი ფრაზა ოდნავადმე ბუნდოვანი გამოვიდეო. სიბეჯითიეროდ, ეს ავტორის თავმდაბლობაა მხოლოდ და წერილი მონოლოგი ყველანაირად ფრიადზე შეფასდა! ამიტომაც უცვლელად ვბეჭდავთ!

ბოლოდ ნელმა ჩასვლამ ფეხზე დააყენა მთელი სოფელი. გვაცნობდნენ ღრმად მოხუცებს და გვიჩვენებდნენ ახალშობილ ბავშვებს. ფანტასტიკურად სწრაფად გამოლილ სუფრაზე იცლებოდა შესანიშნავი ღვინით სავსე ჭიქები ამ ქვეყნიდან წასულ წინაპართა მოსახსენიებლად და მომავალ თაობათა სადღეგრძელოდ...

მე, თავდაჯერებულმა, ვიფიქრე, ასეთი სტუმართმოყვარეობა, ალბათ, იმით არის-მეთქი გამოწვეული, რომ მსახიობი ვარ, წამდაუწუმ გამოვდივარ ტელევიზიით, აქ კი ყოველ ოჯახში დგას ფერადი ტელევიზორი.

გავკადნიერდი და ვთქვი კიდეც ეს.

ერთ-ერთმა სუფრის წევრმა, ქალბატონმა ვაქაცამა, ასე მიპასუხა:

„ყმაწვილო! მართალია, გვაქვს ტელევიზორები, ფერადიც გვაქვს, მაგრამ ერთი დახედე ჩვენს ხელებს. ჰგავს იმ კაცის ხელებს, რომელიც უსაქმოდ ზის და ტელევიზორს შესცქერის? ჩვენ არ ვიცით, მსახიობი ხარ თუ არა. თუმცა, არც ეგაა ურიგო! ჩვენ მარტო ის ვიცით, რომ შენ ნოშრევანის შვილიშვილი, ვალერიან ბასილაშვილის შვილი ხარ, ჩვენს სოფელში კი ძალიან ბევრი ბასილაშვილია, და ჩვენც პატივს ვცემთ მათ ხსოვნას, გვეხარია, რომ ჩვენებურები გვეწვივნენ, რომ დავმეგობრდით“.

შევხედე ამ გლეხების ხელებს. მუქი ყავისფერი, უხეში, შიგ სამუდამოდ ჩაჰკვდომოთ მიწა, ღონიერი და მშვენიერი ხელები, რომლებიც გარიჟრაჟიდან გვიან ღამემდე ქმნიან იმას, რაც ჩვენ გვაცხოვრებს, ხელები, რომლებმაც ეს მშვენიერი მიწა-წყალი აყვავებულ და საამო წალკოტად გადააქციეს.

მშვენიერია საქართველო, მშვენიერია ქართველი ხალხი, მშვენიერია მისი მიწა-წყალი. ხომ გახსოვთ მაიაკოვსკის სიტყვები:

მე ვიცი:
უმღერდნენ
ედემს და სამოთხეს,
მაგრამ თუ ლექსავდნენ ოცნებით,
ალბათ
საქართველო
ედემად გამოჩქვეს,
მასზე თუ
გალობდნენ
მგოხნები.

სად ნახავთ სხვაგან ამგვარ გულთბილ, გულუხვ მხარეს, როდესაც, მსახიობი ხარ თუ არა, მელმაც შეიძლება ასეთი მშვენიერი მოულოდნელობანი გიძღვნას.

თურმე —

ჩვენი კარბის მეზობელ სოფელში თითქმის ყველა მცხოვრები „პაპიტაშვილია! ამ გვარისა გახლდათ ჩემი, ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორის გ. ა. ტოვსტონოგოვის დედა, იგი ამ სოფლიდან ყოფილა!

თურმე —

ხსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმოხვეჭილი მსახიობი, ჩემი პარტნიორი დიდი დრამატული თეატრის სცენაზე ე. ა. ლებედევი იგივე ყენია ლებედევი, თბილისის რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის ახალგაზრდა მსახიობი ყოფილა, როგორც ასე მაცნობდა ხოლმე რვა წლის მაყურებელს თავისი პუდელ არტემონით და ჰეკლბერი ფინით ამ თეატრის სპექტაკლებზე!

თურმე —

ომის დროს, როცა მე, გაჩხიკნებული ბიჭი, ფშატით ვიტენიდი ცარიელ მუცელს უნივერსიტეტის ბაღში,

თეატრის დიდი რეჟორმატორი ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო, რომელიც ომის დროს გულთბილად შეიკედლა დედასაქართველომ, ჩემსავით თბილისში ცხოვრობდა, მუშაობდა, ესაუბრებოდა ქართველ რეჟისორებს, რომელთა შორის იყო ჩემი ახლანდელი მთავარი რეჟისორი, ტოვსტონოგოვი!

თურმე —

პუშკინის ლექსი „ქართლის სერებზე“... მაგრამ ამაზე — ცოტა დაწვრილებით.

სიტყვები „ქართლის სერები“ მე ყოველთვის უღიმღამოდ, მეცხრამეტე საუკუნის სტილისათვის გალებულ ხარკად მიმაჩნდა.

რომელ „სერებზეა“ ლაპარაკი... სერები და ბორცვები რუსეთის თვალწყვდენელ ველზე შეგხვდებათ აქა-იქ.

აქ კი საქართველოა!

აქ უზარმაზარი, გიგანტური მთებია, რომლის შეხედვაც კი სუნთქვას გიკრავს.

და აი, ერთხელ დ. ალექსიძემ, რომლისადმი ჩემი მადლიერება სიტყვით არ გამოითქმის, ფასაუნურში ჩამიყვანა.

მწუხრის ჟამი იყო.

მოღრიალე არაგვის პირას ვიდექი.

შორს, სადღაც მაღლა ღამის ცის ფონზე ჯერ კიდევ ილანდებოდა ბწყვერვალები.

გრილი სიო დაჰქროდა დღის პაპანაქება სიცხის შემდეგ.

მეორე ნაპირას სიბნელეში ძლივს მოჩანდა თავმომრგვალებული, ტყით შემოსილი გორები და სერები.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

საკვირაო საკითხავი

ᲧᲐᲑᲐᲩᲘ

მასპინძლობს ჰელსინკი

ᲔᲠᲗᲓᲦᲘᲐᲜᲘ შესვენების შემდეგ ჰელსინკში განახლდა მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი. შეჯიბრების მეხუთე დღეს გამამამდა მედლების ოთხი კომპლექტი. გთავაზობთ ᲐᲠᲘᲖᲝᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲢᲘᲞᲘᲡᲬᲘᲜᲐᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ:

ᲥᲐᲚᲗᲐᲜᲘ. ᲑᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲕᲠᲐ. 1. ხ. ფიბინგერო

(ჩეხოსლოვაკია) — 21,05 მ, 2. ხ. კონრშაიდტი — 20,70, 3. ი. სლუპიანეკი — 20,56 მ (ორივე — გდრ). **ᲩᲔᲮᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲐᲛᲔᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲜᲣᲜᲣ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲡ ᲛᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲘᲖᲝᲜᲘᲠᲗᲐᲜ ᲐᲛᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1 ᲡᲐᲢᲔᲚᲘᲢᲘᲠ ᲬᲐᲒᲝ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲐ.**

ᲕᲐᲨᲢᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ᲨᲣᲑᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ. 1. დ. მიხელი (გდრ) — 89,48 მ, 2. ტ. პეტრანოფი (აშშ) — 85,60, 3. დ. ᲚᲣᲚᲐ (სსრ კავშირი)— 85,58; **3000 ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲠᲑᲘᲜᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲠᲝᲑᲘᲗ.** 1. Ვ. ᲘᲚᲒᲐᲜᲘ (გფრ) — 8.15,06, 2. ბ. მამინსკი (პოლონეთი) — 8.17,03, 3. კ. რეიტეკი (დიდი ბრიტანეთი) — 8.17,75; **50 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲮᲔᲠᲮᲘᲗ.** 1. რ. ვაიგელი (გდრ) — 3:43.08, 2. ხ. მარინი (ესპანეთი) — 3:46. 42, 3. Ბ. ᲝᲣᲔᲚᲒᲘ (სსრ კავშირი) — 3:49.03.

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

ᲑᲣᲖᲘᲜ მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 25-ე ტურის ბოლო მატჩი. ადგილობრივმა „სპარტაკმა“ მიიღო თბილისის „დინამო“. ეს შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთაგან მარჯვეებით — 5:1. მოსკოველთაგან ბურთები გაიტანეს გავრილოვმა (2), ჩერენკოვმა (2) და რეზნიკმა. თბილისელთაგან ერთადერთი ბურთი გაქვითა შენგელაიამ.

დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი“	24	14	5	5	43-25	33
„დინ.“ (მნ)	24	13	6	5	37-23	32
„სპარტ.“	23	11	7	5	42-18	29
„ჩერნომ.“	24	12	4	8	31-27	28
„ფაჭთაქ.“	24	10	8	6	28-20	28
„ზენიტი“	24	10	7	7	27-22	27
„ქალგრი.“	24	9	9	6	22-24	27
„შახტიორი“	24	12	2	10	38-29	26
„დინ.“ (კ)	23	9	7	7	24-26	25
„ტორპ.“ (მ)	23	8	8	7	22-24	24
„ცსკა“	23	8	8	7	29-23	24
„არარატი“	24	9	3	12	24-35	21
„მეტალ.“	23	8	5	10	29-33	21
„ნეფტჩი“	24	7	7	10	23-27	21
„დინ.“ (თბ)	24	7	4	13	33-39	18
„დინ.“ (მ)	23	5	8	10	18-25	18
„ტორპ.“ (ქ)	24	3	9	12	19-35	15
„ნისტრუ“	24	3	3	18	15-49	9

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲓᲐᲤᲔᲑᲗᲐᲜ

ᲯᲐᲜᲣᲐᲠᲘᲡᲨᲘ მიმდინარე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატის მეხუთე ტურში თამაზ გიორგაძის მეტოქე გახლდათ კავალეკი. ეს პარტია მეორედ, 79-ე სვლაზე გადაიდგა. საბჭოთა მოჭადრაკეს ზედმეტი პაიკი ჰქონდა. ი. ბალაშოვმა გლინკესთან გადადებული პარტია მოგებით დასრულა. მოჭადრაკეთა სატურნირო მდგომარეობა ხუთი ტურის შემდეგ ასეთი იყო: გიორგაძე — 3,5 ქულა (1 გადადებული პარტია), კარპოვი, ბალაშოვი, ლობრონი, ცი ძინგუანი — 3-3, ტორე — 2,5 (1), ბასტიანი, ბუხუბისი, ოსტერმაიერი — 2,5-2,5, კავალეკი, კინტეროსი — 2-2 (თითო პარტია), გლინკე, ჩენ დუ — 2-2, პფელეგერი, სოსონკო, ჰარტმანი — 1,5-1,5 ქულა.

ᲛᲔᲥᲔᲓᲜᲔᲚᲘ ტურში ბალაშოვმა დაამარცხა ჰარტმანი, კარპოვმა ლობრონი. გიორგაძე პფელეგერს დაუზავდა, ხოლო კავალეკთან გადადებული პარტია მან გამარჯვებით დასრულა. 6 ტურის შემდეგ გიორგაძეს 5 ქულა აქვს.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲘᲡ ქალაქ ბუკარამანგაში გრძელდება 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი. რვა ტურის შემდეგ ელენა ზოვოროვაკელმა ალექსი დრეევმა 7,5 ქულა დაგროვა და შეჯიბრების ერთპიროვნულად ლიდერობს. უახლოესი კონკურენტი დრეევს 2 ქულით ჩამორჩება.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭომ აბხ. ი. თ. ხაბულიანი გაათავისუფლა საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

რედაქტორის მოადგილე
ბ. ᲜᲐᲜᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ 200 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

2. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲑᲚᲘ

ᲝᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲓᲐᲜ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ... დიდი თეატრი... 1983 წლის ივნისი. რუსეთის სფს რესპუბლიკაში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების საზეიმო კონცერტი. კულისებში ვტრიალებ, მღელვარებისაგან ცივ ოფლს მასხამს. ირგვლივ ქართველი მსახიობები არიან — შავგვრემანნი, ტანადნი, ლამაზნი. ჩემი რიგი დადგა. მღელვარებით ლამის ხმა ჩამიწყდეს და მაინც ვკითხულობ მაიაკოვსკის „ვლადიკავკაზი — თბილისი“:

როგორც კი
დავდგები
ფეხი კავკასიას,
მყისვე მომაგონდა,
რომ მე
ქართველი ვარ...

როგორ ვკითხულობ, კარგად თუ ცუდად, არ ვიცი, მთავარია ის, რომ მე, ლენინგრადელი მსახიობი, მოსკოვში დაბადებული, ქართველისა და რუსის შვილი ზარმოთქვამ სიყვარულის ამაყსიტყვებს, სიტყვებს, რომელიც ეკუთვნის დედასამშობლოს, დედასაქართველოს, რომელმაც მამაჩემი აღზარდა, რომელმაც სიცოცხლე მომანიჭა...

ნეტავ მოესმინა მამაჩემს...

იგი ქართველი იყო, საქართველოში დაბადებული. განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღო, იქ შეხვდა რუს ქალიშვილს, ჩემს მომავალ დედას, მთელი ცხოვრება ახალგაზრდობასთან მუშაობას მიუძღვნა, კომუნისტურ პარტიაში შევიდა ჩვენი სამშობლოსათვის უმძიმეს ჟამს — 1941 წლის ნოემბერში, როცა ფაშისტური ჯარები ზედ მოსკოვთან იდგნენ, როცა ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა; უფროსი ვაჟი, ჩემი ძმა, კურსის ბრძოლაში დაიღუპა, როცა თავის მრავალეროვან სამშობლოს იცავდა. მამაჩემი გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე ჩემთან ერთად იყო თბილისში. წინათაც ყოფილა, მაგრამ უჩემოდ.

ახლა კი ერთად ჩამოვედით.

დაგვხვდნენ ახლობლები, ნათესავები. რა სიხარული, რა ბედნიერება, რა ნათელი დღეები იყო!

რამდენი ათეული კილომეტრი ვიარეთ თბილისში — ამ მშვენიერ, ძველ და მარად ახალგაზრდა ქალაქში! ჩვენ თაყვანი ვეცით და პატივი მივაგეთ მთაწმიდაზე დაკრძალულ საქართველოს გამოჩენილ შვილებს. ქედი მოვიხარეთ ვაჟკაცი არაგველების წინაშე... თაყვანი ვეცით წინაპრებს, მოვიარეთ მამაჩემის ბავშვობის ადგილები, ძველი თბილისის ვიწრო, დაკლაკნილი ქუჩები და ქუჩაბანდები, აღტაცებული ვიყავით ახალი უბნებით...

რა მშვენიერი შინაარსით აღივსო ეს სეირნობა ჩემთვის დიდი ხნის ნაცნობ ადგილებში, მაგრამ ახლა უკვე მამასთან ერთად!

მე ხომ მანამდეც ვყოფილვარ თბილისში — გასტროლების დროს. კიდევ უფრო ადრე — ომის დროს თბილისმა შეგვიხიზნა დედაჩემი, ბებო და მე, როცა ფრონტისპირა მოსკოვიდან საქართველოში ჩამოვედით.

ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲚᲘ ქართველი მუსიკოსები სხვადასხვა წლებში ფრიად ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ რუსული მუსიკის მრავალ სფეროში.

რუსული მუსიკათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პროფესორი **ალექსანდრე სოლომონის ძე რაზმაძე** (1845-96) კარგა ხანს კითხულობდა მუსიკის ისტორიის კურსს მოსკოვის კონსერვატორიაში. მოსკოვშივე 1888 წელს პირველად რუსულ ენაზე გამოიცა რაზმაძის სოლიდური შრომა „მუსიკის ისტორიის ნარკვევები“ (685 გვერდი), რომელიც ათეული წლების მანძილზე ამ დარგის ერთადერთ სახელმძღვანელოდ ითვლებოდა რუსეთის იმპერიაში.

პეტერბურგში ცხოვრების წლებში (1889-1917) **ᲞᲔᲢᲔᲠᲘᲢᲝᲜ ᲑᲐᲡᲚᲐᲩᲘᲕᲐᲫᲔᲛ** რუსი საზოგადოებრიობის პატივისცემა დაიმსახურა აქტიური მუშაობისათვის, რომელსაც იგი ეწეოდა როგორც „მუსიკის მეგობართა პეტერბურგის საზოგადოების“ ხაზინადარი, მუსიკალური ინსტრუმენტების, მათი წარმოებისა და ხელსაწყოთა პირველი სრულიად რუსეთის გამოფენის ერთ-ერთი ინიციატორი და ჟიურის წევრი და სხვ. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მ. ბალანჩივაძის დამსახურება რუსული სამუსიკო კულტურის წინაშე, რაც იმით გამოიხატა, რომ მისი თაოსნობით და ფულადი დახმარებით 1907 წელს გამოიცა მ. გლინკას წერილების სრული კრებული. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ა. ოსავსკის აზრით, „რუსული საზოგადოებისა და რუსული მუსიკათმცოდნეობისათვის, მ. ბალანჩივაძის მოღვაწეობა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს. მ. ი. გლინკას წერილების სრული კრებულის გამოცემით მან თავის თავს ძეგლი აუგო...“.

უაღრესად მრავალმხრივი და შინაარსიანი იყო **ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲐᲒᲕᲨᲕᲘᲚᲘᲡ** მოღვაწეობა მოსკოვში 1901-17 წლებში. იგი პედაგოგად მუშაობდა ხალალის სკოლაში და ხელმძღვანელობდა მოწაფეთა გუნდებს. დ. არაყიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსკოვის „სახალხო კონსერვატორიის“ დაარსებაში. თავის მეგობარ ა. მასლოვასთან ერთად დაარსა „მუსიკალური კურსები“, პროგრესული ჟურნალი „მუზიკა ი ჟიზნ“, რომელსაც რედაქტორობდა კიდეც. 1908 წელს მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა „უფასო მუსიკალური კურსები“ არბატის რაიონის მუშათა ბავშვებისათვის. ამ კურსების უსასყიდლოდ ხელმძღვანელობას და პედაგოგიურ მუშაობას არაყიშვილი თავის ზნეობრივ მოვალეობად თვლიდა. სამაგიეროდ, ნიჭიერ ბავშვთა წინასვლა და წარმატებული საკონცერტო გამოსვლები მას უძვირფასეს ჯილდოდ მიაჩნდა.

მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული „მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისიაში“, რომელშიც შედიოდნენ ს. ტანეევი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი, ვ. პასხალოვი, მ. პიატნიცკი, ა. კასტალსკი და სხვები, დ. არაყიშვილი დიდ მუშაობას ეწეოდა როგორც ამ „კომისიის“ მდივანი, ფოლკლორისტი-ეთნოგრაფი და ხალხური მუსიკის მკვლევარი. 500-მდე ქართული ხალხური სიმღერის შეგროვებისა და გამოცემის გარდა, არაყიშვილმა მთელი რიგი რუსული ხალხური სიმღერები ჩაწერა ყუბანში, მოსკოვის ოლქსა და სხვა რაიონებში. ამ სიმღერათა კრებულებს რუსი სპეციალისტები მხურვალედ გამოეხმაურნენ.

სხვათა შორის, დ. არაყიშვილს სრული უფლებით შეიძლება ვუწოდოთ ყირგიზული მუსიკალური ფოლკლორისტიკის ფუძემდებელი, მისი თაოსნობისა და ყოველმხრივი ხელისშეწყობის შედეგად შუა აზიის ამ რეგიონში პირველად მოეწყო საფოლკლორო ექსპედიცია, რომლის შედეგებმა განაცვიფრა რუსეთის მუსიკალური საზოგადოებრიობა, რომელსაც მანამდე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ყირგიზელთა შემოქმედებაზე.

ზაქარია ფალიაშვილის უფროსი ძმა, რიმსკი-კორსაკოვისა და დირიჟორი ი. სუკის მოწაფე **ვანო ფალიაშვილი** 33 წლის მანძილზე ნაყოფიერ საკერიჟორო მოღვაწეობას ეწეოდა რევოლუციამდელი რუსეთის ქალაქებში: პეტერბურგში, რიგაში, ოდესაში, პერმში, ხარკოვში, სარატოვში, სამარაში და სხვ. საოპერო სპექტაკლების გარდა, იგი უძღვებოდა სიმფონიურ კონცერტებსაც, რითაც რუსეთის მოსახლეობას აცნობდა ეროვნულ და უცხოელ კომპოზიტორთა ღირსშესანიშნავ ნაშარმოებებს.

რუსული საოპერო ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცნობილმა რეჟისორმა **ᲢᲘᲪᲘᲐᲜ ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲛ.** 22 წლის განმავლობაში მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე მან მრავალი ოპერა დადგა, მათ შორის: „დემონი“, „რიგოლეტო“, „დონ ჟუანი“, „ტრუბადური“, „ლაკმე“, „დუბროვსკი“... იგი 16 წელი ხელმძღვანელობდა მოსკოვის კონსერვატორიის საოპერო კლასს და საოპერო სტუდიას, სადაც მრავალი სახელოვანი მოღვაწე აღიზარდა.

მრავალმხრივი და მდიდარია გამოჩენილი რეჟისორის **ᲘᲝᲡᲔᲑ ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** მოღვაწეობა რუსეთის წამყვან თეატრებში. წლების განმავლობაში იგი იყო სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის საოპერო თეატრის მთავარი რეჟისორი, მოსკოვის ოპერეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, კრემლის ყირიმთა სასახლის მთავარი რეჟისორი, სადაც მან განახორციელა ვერდის „დონ კარლოსის“ გრანდიოზული დადგმა (დირიჟორი — ო. დიმიტრიადი). ბოლო წლებში დიდი თეატრის სცენაზე ი. თუმანიშვილმა თავი ისახელა მრავალი ოპერის სრულყოფილი დადგმით. მათ შორის აღსანიშნავია რიმსკი-კორსაკოვის „ამბავი უხილავ ქალაქ კიტეჟზე“ და ჩაიკოვსკის „მაზეპა“. თუმანიშვილის დიდი ნიჭი და კულტურა, დახვეწილი მხატვრული გემოვნება და უშრეტი ფანტაზია ამშიაც გამოვლინდა, რომ 1980 წლის მსოფლიო ოლიმპიადის დახურვასთან დაკავშირებული საყოველთაო ზეიმის თუმანიშვილისეული მხატვრული გაფორმება სანიმუშოდ მიიჩნიეს.

დიდი თეატრის სცენაზე გამოცდილ რეჟისორს **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲖᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** დადგმული აქვს ოპერები „აბესალომ და ეთერი“, „კარმენი“, „ტრავიატა“ და სხვ.

ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტში ათეული წლების მანძილზე მოღვაწეობს ცნობილი პიანისტი ქალი, პედაგოგი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲙᲣᲗᲐᲗᲐᲫᲔᲡᲘ.**

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქართველი მომღერლების მოღვაწეობა რუსეთში. მათ შორის ქრონოლოგიურად პირველია ცნობილი ბანი **ᲤᲘᲚᲘᲞᲝᲜ ᲙᲝᲠᲝᲫᲘ,** რომელიც, იტალიის ქალაქების გარდა, წარმატებით გამოდიოდა პეტერბურგის საიმპერატორო საოპერო თეატრის სცენაზე. აქ მან ჩინებულად განასახიერა სუსანინის, რუსლანის, დემონის და სხვა პარტიები. ბანის პარტიებს ზიმინის თეატრში ასრულებდა ძლიერი ხმის მქონე **ᲕᲐᲮᲝ ᲨᲐᲠᲐᲫᲘ.**

მოსკოველთა საყვარელ საოპერო მომღერლებს შორის საპატიო ადგილი ჰქონდა მოპოვებული სამ დავითს: **ᲑᲐᲥᲠᲘᲫᲔᲡ, ᲐᲜᲓᲦᲣᲚᲐᲫᲔᲡ** და **ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲡ.** ბაქრიძეს შექმნილი აქვს ლენსკის, ჰერცოგის („რიგოლეტო“) ალფრედის, ფაუსტის, და სხვათა სრულყოფილი ვოკალურ-სცენური სახეები. იგი, როგორც გასტროლიორი, ხშირი სტუმარი იყო რუსეთის ქალაქებისა. შედეგიანი გამოდგა აგრეთვე ბაქრიძის პედაგოგიური მუშაობა.

დ. ანდღულაძის ძლიერი დრამატული ტენორი ერთ დროს ბრწყინავდა დიდი თეატრის სპექტაკლებში („აიდა“, „კარმენი“, „პიკის ქალი“, „ტოსკა“ და სხვ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია გრანდიოზული ოპერა „ჰუგენოტების“ დადგმა, რომელშიც დავითი ორი სეზონის განმავლობაში ცენტრალური გმირის — რაულის — როლს ასრულებდა. ნიშანდობლივია, რომ ანდღულაძის თბილისში დაბრუნების შემდეგ (1935 წ.) თბილისის კონსერვატორიის აღზრდილი (პროფესორ ე. ვრონსკის მოწაფე), 21 წლის მომღერალი **ᲔᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ** პირველად წარდგა მოსკოვის საზოგადოებრიობის წინაშე სტანისლავსკის და ნემიროვიჩ-დანჩენკოს მუსიკალური თეატრის სცენაზე და მსმენელთა ყურადღება მიიპყრო. ამ დროიდან მოყოლებული იგი თანდათან იხვეჭს ნ